კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“

ქალთა ხმა 2015

ქუთაისი

25.11 2015

ქალთა სევა 2015

კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმის“ შემაჯამებელი გამოცემა პროექტის „ქალთა უფლებების გაძლიერება დასავლეთ საქართველოში“ ფარგლებში

ამ სიმბოლოში, რომელიც სპეციალურად ფონდი „სოხუმისთვის“ შექმნა ცნობილმა მხატვარმა ოთარ ქანდარიამ, ყველაფერია ჩატეული, რაც ქალს უკავშირდება: სიხარული, ძლიერება, სევდა, ტკივილი, რწმენა და, რა თქმა უნდა, იმედი...

მისამართი: ქ. ქუთაისი,
მგალობლიშვილის 6
ტელ: 27 29 02
ფაქსი: 27 13 68
ელფოსტა: womansukhumi@gmail.com
ვებგვერდი: www.fsokhumi.ge

ჟურნალი გამოდის ორგანიზაცია (გერმანია) მხარდაჭერით

Brot für die Welt
Brot für die Welt – Evangelischer Entwicklungsdienst

ჟურნალში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორი ორგანიზაციის მოსაზრებებს

პროექტის დირექტორი
ალლა გამახარია

პროექტის კოორდინატორი
ლელა ჯალაღონია

რედაქტორი
ლალი შენგელია

დიზაინი
ლია კოსტავა

ქალთა უფლებების გაძლიერება

„ქალთა უფლებების გაძლიერება დასავლეთ საქართველოში“ - ფონდმა „სოხუმმა“ 2015 წლის იანვარში ამ სახელწოდებით პროექტის მეორე სამწლიანი ციკლი დაიწყო.
რა თქმა უნდა, პროექტს საფუძვლად დაედო წინა წლებში გაწეული მუშაობა, მაგრამ გაგრძელდა კიდევ მეტი ინტენსივობით.
პროექტის კომპონენტები იგივეა, მაგრამ არის მნიშვნელოვანი სიახლეებიც.
ძირითადი მუშაობა ქალთა მხარდაჭერის ცენტრებში მიმდინარეობს. ცენტრი კვლავ ექვსია - ქუთაისში, წყალტუბოში, ხონში, სენაკში, ფოთში და ხურჩა / კოკში (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი). ჟურნალში გთავაზობთ სტატიებს თითოეული ცენტრის შესახებ.

განვლილი ერთი წლის მანძილზე ყოველთვიურად ტარდებოდა:

- 33 სამობილიზაციო შეხვედრა სხვადასხვა თემაზე
- 6 შეხვედრა ფსიქოლოგთან და 6 შეხვედრა იურისტთან ქალთა მხარდაჭერის ცენტრებში
- 12 საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრა ფსიქოლოგთან და ამდენივე შეხვედრა იურისტთან ქუთაისის დევნილთა კოლექტიურ ცენტრებში
- 6 საინფორმაციო შეხვედრა ახალგაზრდულ კლუბებში
- 6 ვორკშოპი კონფლიქტოლოგიაში – 3 ქალებთან და 3 ახალგაზრდების ჯგუფთან
- 2 ფორუმ-თეატრის წარმოდგენა
- 4 ღონისძიება - მონიტორინგის ჯგუფის ჩაღრმავებული ინტერვიუ და ფოკუს-ჯგუფი
- წელს პირველად გაჩნდა პროექტში ახალი კომპონენტი - „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონის მონიტორინგი (ამის შესახებ ვრცლადაა მოთხრობილი ჟურნალში).

ქუთაისის ცენტრს ერთი მობილიზატორი ჰყავს, დანარჩენებს კი - ორ-ორი. მობილიზატორები რეგულარულად იმაღლებენ ცოდნას. თებერვალში მათთვის საირმეში ჩატარდა ორდღიანი ტრენინგი ადვოკატირების, სოციალური ადვოკაციის და მსხვერპლის დახმარების ეფექტური მექანიზმების თემაზე. ტრენინგის შემდეგ მათ შეიმუშავეს ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობის გეგმა და მარტში, ქალთა სოლიდარობის კვირეულში საკუთარი ინიციატივით ჩაატარეს 6 მრგვალი მაგიდა.

მაისში მობილიზატორებისთვის ბათუმში გაიმართა ორდღიანი ტრენინგი თემაზე „პროექტების წერის ტექნიკა და მენეჯმენტი“. ტრენინგის ბოლოს თითოეულმა ცენტრმა ერთი პროექტი შეიმუშავა.

მობილიზატორები ატარებენ სამობილიზაციო შეხვედრებს, ცენტრებში კი ყოველთვიურად იმართება საკონსულტაციო და საინფორმაციო შეხვედრები, ვორკშოპები კონფლიქტოლოგიაში ქალებთან და გოგონებთან. ზოგჯერ ეწყობა მასტერ-კლასები კულინარიაში და შეხვედრები ექიმ-რეპროდუქტოლოგთან.

წელს ცენტრებმა დაიწყეს შეხვედრების ჩატარება ახლომდებარე სოფლებში: თერნალი, ბანოჯა, ქვილიშორი (წყალტუბოს მუნიციპალიტეტი), ნოსირი, ხორში, მენჯი, ბათარია (სენაკის მუნიციპალიტეტი), ივანდიდი, ქარჩხაპი, კუხი, გოჩა ჯიხაიში (ხონის მუნიციპალიტეტი) კოკი, ორსანტია (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი). ამან კიდევ უფრო გაზარდა ინფორმირებული ადამიანების რიცხვი.

ქალთა მხარდაჭერის ცენტრები აქტიურად თანამშრომლობენ სახელმწიფო სტრუქტურებთან. მობილიზატორები და აქტივისტი ქალები ესწრებიან საკრებულოს სხდომებს ექვსივე ქალაქში (ქუთაისი, წყალტუბო, ხონი, სენაკი, ფოთი, ზუგდიდი), ეცნობიან სიახლეებს, ადგილობრივ სოციალურ პროგრამებს და ამის შესახებ ავრცელებენ ინფორმაციას შეხვედრებზე. გაიზარდა კომუნიკაციის ხარისხი ცენტრის ლიდერებსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები მონაწილეობენ ქალთა მხარდაჭერის ცენტრებში

გამართულ ღონისძიებებში და პირიქით - მაგალითად, წყალტუბოში გამართულ ხელოვნების ფესტივალში ცენტრის აქტივისტებიც მონაწილეობდნენ. სენაკის სტადიონის გახსნაზე მიწვეულნი იყვნენ ცენტრის მობილიზატორები. მათ ასევე მონაწილეობა მიიღეს გამგეობის ინიციატივით გამართულ სპორტულ ღონისძიებებში და ქალაქის მასშტაბით გამართულ დასუფთავების აქციაში.

ფონდი „სოხუმის“ ინიციატივით ჩატარდა სამდღიანი ტრენინგი ბორჯომში. მასში მონაწილეობდნენ ექვსივე ქალაქის (ქუთაისი, წყალტუბო, ხონი, სენაკი, ზუგდიდი, ფოთი) ადგილობრივი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები. ტრენინგის დასასრულს შემუშავდა სამოქმედო გეგმების პროექტები ცალკეული ქალაქების მიხედვით, ადგილობრივი რესურსების გათვალისწინებით რა შეიძლება გაკეთდეს ძალადობის პრევენციისა და მსხვერპლთა დახმარების მიზნით.

ქალთა მხარდაჭერის ცენტრი აწარმოებს ძალადობის მონიტორინგს - ხდება ქეისების მართვა, კონფლიქტურ ოჯახებთან მუშაობა, მსხვერპლის გარიდების ორგანიზება, თავშესაფრებში გადამისამართება, სახელისუფლებო ორგანოების ჩართვა პრობლემის გადასაწყვეტად. თვეში საშუალოდ ძალადობის 10-12 ანკეტა ივსება. შემთხვევათა ნაწილი ეხება ოჯახურ კონფლიქტებს (ძალადობა ქალზე ქმრის ან ოჯახის სხვა წევრის მხრიდან). მათგან 2-3 სარგებლობს ფონდის ფსიქოლოგიური და იურიდიული კონსულტაციის სერვისით, დანარჩენები კი მობილიზატორთა ყურადღების ქვეშ იმყოფებიან.

ტრენინგი მობილიზატორებისთვის საირმეში

აქტიურად მუშაობენ ახალგაზრდული კლუბები. წლის დასაწყისში ცენტრებში გაიმართა შეხვედრები ახალგაზრდებთან, მათ შეავსეს ანკეტები და გაერთიანდნენ ახალგაზრდულ კლუბებში. კლუბებს შეუერთდნენ ისინიც, ვინც ადრე ესწრებოდა ახალგაზრდულ საინფორმაციო შეხვედრებს ან კონფლიქტოლოგიის ვორკშოპებს.

მარტში ჩატარდა მასტერ-კლასები „ვორკშოპების ჩატარების ტექნიკა“, რის შემდეგაც კლუბის 2-3 მოხალისემ დამოუკიდებლად დაიწყო ვორკშოპების ჩატარება.

აპრილში ჩატარდა 6 დამატებითი აქტივობა ახალგაზრდების ინიციატივით. ჩაერთო 93 ადამიანი: ქუთაისში აღნიშნეს დედამიწის დღე, სენაკში კი ეკოლოგიის დღეს აქცია მიუძღვნეს. სოფელ ქუტირში (ხონის მუნიციპალიტეტი) ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრა თემაზე „აზარტული თამაშების გავლენა მოზარდებზე“, წყალტუბოში - ვორკშოპი ქალთა მიმართ ძალადობის თემაზე, სოფელ ორსანტიაში (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) კი საინფორმაციო შეხვედრა თემაზე „ქალთა უფლებები“.

დაინერგა გაცვლითი შეხვედრების პრაქტიკა. ხონში ჩავიდნენ ქუთაისის კლუბის წევრები, ხონიდან ახალგაზრდები ჩავიდნენ სოფელ კოკში, სენაკელები - ფოთში.

წლის მანძილზე აქტიურად მუშაობდა განახლებული ფორუმ-თეატრი. სკოლებში გაჩნდა

ტრენინგი ბორჯომში ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების მონაწილეობით

ქალთა უფლებების გაძლიერება

მსგავსი ფორმატის შექმნის და დისკუსიების წარმართვის იდეა. მაისში არასამთავრობო ორგანიზაციების კვირეულის ფარგლებში ფორუმ-თეატრმა გამართა დამატებითი ჩვენება ქუთაისის ცენტრალურ პარკში. ეს წარმოდგენა განსაკუთრებით ეფექტური გამოდგა - მაყურებელთა რაოდენობამ 100-ს გადააჭარბა, მომზადდა სატელევიზიო სიუჟეტები, დისკუსიაში ჩაერთნენ სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები, მოზარდები.

ივნისში ბათუმის მერიისა და ფონდი „სოხუმის“ მიერ დაფინანსებული პროექტის „ბათუმის ახალგაზრდები - არაძალადობრივი საზოგადოებისთვის“ ფარგლებში ფონდი „სოხუმის“ ფორუმ-თეატრმა მე-2 სკოლაში გამართა წარმოდგენები. აქ შეიკრიბნენ ქალაქის 6 სკოლის წარმომადგენლები. ფონდი „სოხუმის“ ფორუმ-თეატრი ხელს უწყობს ამ სკოლებში ფორუმ-თეატრების ჩამოყალიბებას. ჩატარდა კასტინგი, თითო სკოლიდან არჩეულ იქნა 5 მსახიობი და ჩატარდა მასტერკლასები ბათუმელი ახალბედა მსახიობებისთვის.

ფონდი „სოხუმი“ მონაწილეობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს და ძალადობის ეროვნული ქსელის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებში.

2 ნოემბერს ჰაგაში გაიმართა WAVE-ის (ევროპელი ქალები ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ) ქსელის მე-17 კონფერენცია - „ქალების ერთიანი ძალა - ძალადობის შესაჩერებლად!“

ქსელი შედგება 92 წევრისგან - ევროპის ქვეყნების ქალთა ორგანიზაციები და ქსელები. კონფერენციაში მონაწილეობდნენ ორგანიზაციები 50 ქვეყნიდან. საქართველოს წარმოადგენდა ფონდი „სოხუმი“.

გაეროს სპეციალური მომხსენებელი ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებულ საკითხებზე დუბრავკა სიმონოვიჩი შეეხო ძალადობის მიზეზებსა და შედეგებს, ქალების დაცვის საერთაშორისო მექანიზმებს.

ფონდი „სოხუმისთვის“ განსაკუთრებული იყო წლის ბოლო, როცა ექვსივე ცენტრი ჩაერთო საერთაშორისო კამპანიაში „16 აქტიური დღე ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ“.

კამპანიის დაწყებამდე, 24 ნოემბერს ფონდ „სოხუმში“ მოეწყო პრეს-ბრიფინგი და ყველა მედიასაშუალებას ეცნობა დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ. კამპანიის პირველ დღეს, 25 ნოემბერს ექვსივე ქალაქში ერთდროულად გაიმართა ხალხმრავალი აქციები. 16 დღის განმავლობაში დასავლეთ საქართველოს მასშტაბით ჩატარდა 100-ზე მეტი ღონისძიება: საინფორმაციო და საკონსულტაციო შეხვედრები, ვორკშოპები, მრგვალი მაგიდები, დებატები, რადიო და სატელევიზიო გადაცემები, სოციალური რგოლების ტრანსლირება, ფილმების ჩვენება და დისკუსიები, ახალგაზრდული შეხვედრები, ფორუმ-თეატრის წარმოდგენები...

წლევანდელი აქციები განსაკუთრებით მასშტაბური გამოვიდა. კამპანიის ჩატარებაში აქტიურობისათვის მობილიზატორებმა მიიღეს სასიამოვნო პრიზი - ქალაქ ბაქოში გაემგზავრნენ სამუშაო ვიზიტით, იქაური ქალთა ორგანიზაციების საქმიანობას გაეცნენ და კიდევ უფრო გაიმდიდრეს საკუთარი გამოცდილება.

ერთი შინაარსიანი და ნაყოფიერი წელი დასრულდა, წინ კიდევ ორი არანაკლებ საინტერესო წელია...

მოკლედ - რა გაკეთდა?

პრობლემების მოგვარება ფსიქოლოგისა და იურისტის დახმარებით

ონ-ლაინ კონსულტაციები და ზარები ცხელ ხაზზე

კონფლიქტების დარეგულირება დედა-შვილსა თუ არასრულწლოვნებს შორის

ოჯახური ურთიერთობების მოწესრიგება

ოჯახებისთვის სოციალურად დაუცველის სტატუსების აღდგენა

განსახლების პრობლემების მოგვარება

დაზღვევისათვის საჭირო დოკუმენტების მომზადება

კოლექტიური ცენტრების ექსპერტიზა

საბანკო პრობლემების მოგვარება (მაგ. დავალიანების რესტრუქტურიზაცია)

მცირეწლოვანი ბავშვების მეურვეობასთან დაკავშირებული საკითხის მოგვარება

ციფრული მაუწყებლობის მოწყობილობის უფასოდ დამონტაჟების საკითხის გარკვევა

ადგილობრივ თვითმმართველობაში არსებული პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიღება და ქალების ჩართვა ამ პროგრამებში

რამდენიმე ადამიანის დასაქმება

საქართველოს კანონის „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ მონიტორინგი

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრობლემის აღმოფხვრის კუთხით ფონდი „სოხუმის“ მუშაობაში გამოიკვეთა არსებული კანონის იმპლემენტაციის ხარისხის, კანონისა და სამოქმედო გეგმის ურთიერთმიმართების, ოჯახში ძალადობის აღკვეთის კუთხით დასახული სახელმწიფო სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების საჭიროება.

ახალი კომპონენტი პროექტში

პროექტში „ქალთა უფლებების გაძლიერება დასავლეთ საქართველოში“ როგორც პროექტის ერთ-ერთი კომპონენტი - გაფორმდა კანონის იმპლემენტაციის მონოტორინგი, რომელიც წინა წლებში ფონდის მუშაობის ვექტორი არ იყო, მაგრამ ამ მიმართულებით საკმაო ინფორმაცია გროვდებოდა და აშკარა იყო უფრო სიღრმისეული ინტერვენციის აუცილებლობა მოცემული ინფორმაციის განზოგადებისა და შემდგომი რეაგირებისათვის.

შეიქმნა სამუშაო ჯგუფი სამი თანამშრომლის შემადგენლობით, შემუშავდა კონცეფცია, დეტალური გეგმა, გამოიკვეთა კომპონენტის მიზანი და ამოცანები. განისაზღვრა, რომ ბლოკში მუშაობა გაიშლებოდა ინფორმაციის შეგროვების, კანონის გამოყენების პრაქტიკის სისტემური ანალიზის, მიღებული შედეგების შეფასებისა და საბოლოო წინადადებებისა და რეკომენდაციების წარმოდგენის სახით, რაც სამომავლოდ ხელს შეუწყობს პრობლემის მოგვარების კუთხით სახელმწიფოს უფრო ეფექტურ ღონისძიებებს.

ფონდი „სოხუმის“ მანდატი

საქართველოს კონსტიტუციით, ადამიანს ან ადამიანების ჯგუფს მინიჭებული აქვს უფლება, მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც შეეხება მისთვის სოციალურად საინტერესო სფეროს. ჩვენი ინტერესი კანონის შესრულების მონიტორინგის ჩასატარებლად ლეგიტიმურია სხვა მანდატიდან გამომდინარეც: საქართველოს პრემიერ-მინისტრის N630 განკარგულებით, ფონდი „სოხუმი“ შეყვანილია ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელი საუწყებათშორისო საბჭოს საკონსულტაციო ჯგუფში, როგორც შესაბამის სფეროში მომუშავე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომლის მოვალეობაა საუწყებათშორისო საბჭოს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე სარეკომენდაციო ხასიათის წინადადებების მომზადება.

გარდა ამისა, ფონდი „სოხუმი“ საუწყებათაშორისო საბჭოს მიერ ჩატარებული კონკურსის შედეგად გახდა საბჭოსთან არსებული ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი (მსხვერპლის იდენტიფიცირების) ჯგუფის წევრი. ორგანიზაციის ეს მანდატი უფრო მეტად უზრუნველყოფს კანონის იმპლემენტაციის კუთხით საჭირო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას და სახელმწიფო და სოციალურ ინსტიტუტებთან თანამშრომლობას ამ მიმართულებით.

მონიტორინგის მეთოდოლოგია, მიზნები და ამოცანები

„ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონის მონიტორინგი ფონდმა „სოხუმმა“ 2015 წლის იანვარში დაიწყო და მისი პირველი ეტაპი დასრულდა 2015 წლის დეკემბერში.

მონიტორინგმა მოიცვა განათლებისა და მეცნიერების; შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოცუზრუნველყოფის; შინაგან საქმეთა სამინისტროების პირველადი სტრუქტურების საქმიანობა; ასევე სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინსტიტუტები.

ინფორმაციის შეგროვება ხდებოდა თვისობრივი და რაოდენობრივი მონაცემების მოპოვებით. ამ მიზნით ჩატარდა 18 ფოკუს-ჯგუფი (178 რესპონდენტთან), 25 ჩაღრმავებული ინტერვიუ (25 ექსპერტთან), გამოიკითხა 150 რესპონდენტი. მთლიანობაში კვლევაში ჩართული იყო 353 მონა-

წილე. კვლევა ჩატარდა დასავლეთ საქართველოში: ქუთაისი, ხონი, წყალტუბო, ბაღდათი, სენაკი, ზუგდიდი, ფოთი, ოზურგეთი, ბათუმი.

კვლევის რესპონდენტები იყვნენ - ძალადობის მსხვერპლები და რისკ-ჯგუფის პირები, რეფერალური მექანიზმების სუბიექტების სხვადასხვა დონის წარმომადგენლები - პოლიციელები, სოციალური მუშაკები, საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღების პედაგოგები, სახელმწიფო და არასახელმწიფო კრიზისული ცენტრებისა და თავშესაფრის ხელმძღვანელები, ჟურნალისტები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები.

მონიტორინგი ჩატარდა კანონის შესრულებაზე პასუხისმგებელი სამინისტროების - შსს, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, განათლებისა და მეცნიერების - დონეზეც.

მონიტორინგმა გამოავლინა კანონისა და ძალადობისაგან დაცვის ღონისძიებების სამოქმედო გეგმის ურთიერთშესაბამისობა და შესრულების ხარისხი. საშუალება მოგვცა, დაგვეფიქსირებინა მსხვერპლის დაცვის ხარისხი და პრევენციის არსებული სახელმწიფო სტრატეგია. მიუხედავად ხარვეზებისა (პირველ რიგში - ეს არის რეფერირების პროგრამების და ფინანსების არარსებობა კანონის იმპლემენტაციისათვის), შეიძლება ითქვას, რომ სერიოზული ძვრებია ძალადობისაგან დაცვის მექანიზმების ამოქმედების კუთხით. უწყებათშორისი საბჭოს პოზიციით, რომელსაც კანონის შესრულების მონიტორინგის ფუნქცია აკისრია, კანონი იმპლემენტაციის თვალსაზრისით საკმაოდ ეფექტურია. იქ გაწერილი ღონისძიებები აქტიურად არის გამოყენებული - თუნდაც შემაკავებელი და დამცავი ორდერების გამოცემა, სისხლის სამართლის საქმის აღძვრა, ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფისთვის პირდაპირ მიმართვის შესაძლებლობა, სხვადასხვა სერვისის ხელმისაწვდომობა, თავშესაფრებში მოხვედრა, სარეაბილიტაციო ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია იმისკენ, რომ მსხვერპლი საზოგადოებას დაუბრუნდეს, როგორც სრულფასოვანი წევრი. „გამონაკლისს შეადგენს გარდამავალი დებულებით განსაზღვრული ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ფულადი კომპენსაცია, რომლის განახლება ჯერჯერობით ვერ მოხერხდა. თუმცა მიდის ჯანდაცვის სამინისტროსთან აქტიური მუშაობა, კანონპროექტის სახით უკვე არის გარკვეული მონახაზი“.

უწყებათშორისი კოორდინაცია, გამოვლენილი მონიტორინგის განმავლობაში, დამაკმაყოფილებელია, თუმცა არსებული სურათი ჭრელია და შეიმჩნევა ხარვეზები. ამას საბჭოს მესვეურნიც აღიარებენ: მათი აზრით, ცნობიერების ამაღლებაზე ორიენტირებული მეტი ღონისძიებაა საჭირო იმისათვის, რომ რეფერალური მექანიზმის სუბიექტებმა იცოდნენ თავიანთი როლი. ხარვეზი მდგომარეობს იმაში, რომ კოორდინაცია არ ხდება ყოველდღიური მუშაობის რეჟიმში და გაბნეული ხასიათი აქვს... ზოგჯერ სუბიექტებმა არ იციან, რომელ შემთხვევაში როგორ იმოქმედონ, ვის მიმართონ...“

მსხვერპლის სტატუსის მინიჭების პროცედურები - მონიტორინგის პროცესში გამოვლენილი მონაცემებით, წინა წლებთან შედარებით საკმაოდ ეფექტურად ხორციელდება, რაც საუწყებათაშორისო საბჭოს ერთ-ერთ მთავარ მონაპოვრად შეიძლება ჩაითვალოს. სახეზეა ბევრად უფრო მოქნილი და მობილური ჯგუფი და გამარტივებული პროცედურები.

მოძალადესთან მუშაობის საჭიროება: თითქმის ყველა შეხვედრაზე იყო დაფიქსირებული პრაქტიკოსების, დარგის სპეციალისტების პოზიცია ამასთან დაკავშირებით. „კანონში ჯერ კიდევ ბევრი ისეთი ჩანაწერია, რომელიც უნდა აღსრულდეს და შეიქმნას პირობები იმისათვის, რომ დაიწყოს მათი მოქმედება, მაგ., მოძალადეთა სარეაბილიტაციო ცენტრი, რომელიც მუდმივად დევს კანონში და წლიდან წლამდე გადადის მისი აღსრულების ვადა“.

„ყველა ჩვენი მოქმედება ხორციელდება ცალმხრივად. ოჯახში ძალადობის შემთხვევაში ყოველთვის გვყავს მსხვერპლი და მოძალადე. ჩვენი საქმიანობა, ყველა საკანონმდებლო რეგულაცია მიმართულია მსხვერპლისკენ, მისი ინფორმირებისკენ, მისი უსაფრთხოების, ჯანმრთელობის დაცვისკენ და ა.შ, მაგრამ არაფერს ვაკეთებთ მოძალადისთვის. იმასაც კი, რაც გათვალისწინებულია კანონით. სამწუხაროდ, მსხვერპლი უნდა დაბრუნდეს ისევ იმ გარემოში და მოძალადე როგორი დახვდება, ეს კიდევ საკითხავია, როდესაც მასთან არანაირი მუშაობა არ ჩატარებულა“.

„არსებობს შემაკავებელი და დამცავი ორდერები. შემაკავებელი ორდერის შემთხვევაში პოლიცია მოქმედებს და აკრძალვები ეკისრება მოძალადეს, თუმცა შემაკავებელ ორდერს უსასრულო ვადა არ აქვს, მისი მოქმედება ერთი თვის

მერე წყდება და ჩვენ გვქონია შემთხვევა, როდესაც შემაკავებელი ორდერის პირველ პერიოდშიც კი განმეორებით მომხდარა ძალადობა, ანუ მოძალადეზე ზემოქმედების მექანიზმები არის აბსოლუტურად დაუხვეწავი".

ხშირად ჟღერდა მოსაზრება, რომ „სამართლებრივ მეთოდებზე უფრო მიზანშეწონილია მოძალადეზე ფსიქოლოგიური და სხვაგვარი ზემოქმედება და სწორედ ამისთვის არის საჭირო სარეაბილიტაციო ცენტრი".

„ჩვენ უამრავი ვორკშოპი ჩავატარეთ და უამრავ ადამიანს შევხვდით. გვქონია შემთხვევები, როდესაც ქალბატონები ინდივიდუალურად კითხვებს გვისვამდნენ, თითქოს სხვებზე საუბრობდნენ, მაგრამ აშკარად ჩანდა, რომ ეს მათ ეხებოდათ. ამ შეხვედრების დროს დავრწმუნდი, რომ არანაირი ეფექტი არ ექნება ჩვენს საქმიანობას, თუკი ცალმხრივად ვიმოქმედებთ და მიმართული ვიქნებით მხოლოდ მსხვერპლისკენ. აუცილებლად უნდა არსებობდეს ზემოქმედების საშუალებები მოძალადეებისთვის, გარდა იმისა, რასაც მოიცავს სისხლის სამართლის კანონმდებლობა (226-ე მუხლი - ოჯახში ძალადობა)".

იყო უფრო რადიკალური პოზიციებიც: „სანამ არ იარსებებს მოძალადის სარეაბილიტაციო ცენტრი - ეს კანონი სრულყოფილად არ ჩაითვლება".

„ძველი" და „ახალი" სამოქმედო გეგმები - ჩვენი დაკვირვებით, კანონის 2013-2015 წლის სამოქმედო გეგმაში გაწერილია ის ღონისძიებები, რომლებიც, ძირითადად, უკვე იყო გათვალისწინებული 2008-2010 წლის, 2011-2013 წლების სამოქმედო გეგმებში და ეყრდნობა 3 ძირითად მიზანს: სახელმწიფო პოლიტიკისა და შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლის დაცვისა და დახმარების საკითხში; ძალადობის მსხვერპლთა დაცვა და დახმარება; ძალადობის პრევენცია და ცნობიერების ამაღლება ძალადობის პრობლემასთან მიმართებით.

არსებული მდგომარეობის ანალიზი ცხადყოფს, რომ წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად შეიცვალა მდგომარეობა ოჯახში ძალადობის პრობლემის მასშტაბების აღიარების კუთხით. ამას ხელი შეუწყო შემთხვევების საგანგაშო სტატისტიკამ.

ქვეყნის უმაღლეს სახელისუფლებო წრეებში არაერთხელ იყო დეკლარირებული საკითხის სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აყვანის და მასზე რეაგირების ეფექტური მექანიზმების შექმნის, საზოგადოებრივ ცნობიერებაში ძალადობასთან შეურიგებელი დამოკიდებულების აღზრდის საჭიროება.

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ არის გარკვეული ძვრები პრობლემის მოგვარებასთან დაკავშირებით, მაგრამ ეს ჯერჯერობით უფრო რიტორიკის დონეზეა. ყველაზე სერიოზული შემაფერხებელი გარემოებაა სახელმწიფო დაფინანსების და შესაბამისი პროგრამების არარსებობა.

საკანონმდებლო ცვლილებები - ოჯახში ძალადობის აღკვეთის კანონის მიღებიდან დღემდე განხორციელდა არაერთი საკანონმდებლო ცვლილება. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი იყო ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო სექტორის რეკომენდაცია. ცვლილებების სერიოზული ნაწილი განხორციელდა შსს ინიციატივით და რიგი ექსპერტების შეფასებით, სასიკეთო გავლენა მოახდინა პრობლემის მოგვარებაზე.

შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს ჩართულობა კანონის იმპლემენტაციაში გამოიხატება მხოლოდ ბავშვთა რეფერირების პროგრამაში მონაწილეობით. როგორც უწყების საშუალო რგოლის წარმომადგენელი აღნიშნავს, „სოციალური მუშაკები ბავშვთა ძალადობის საკითხებზე მუშაობენ და იციან, როგორი პროცედურები უნდა გატარდეს, ხოლო ოჯახური ძალადობის შემთხვევაში - ვერ მუშაობენ, რადგან არა აქვთ გაწერილი ეს ფუნქციები".

მონიტორინგმა ცხადყო, რომ არსებული რესურსების პირობებში ახალი მიმართულების დამატება სოციალური მუშაკების ფუნქციისთვის, რბილად რომ ვთქვათ, არაეფექტური იქნება და კიდევ უფრო გაამძაფრებს კადრების დენადობის ტენდენციას.

გამოიკვეთა შეხედულება - მოხდეს სისტემის დეცენტრალიზაცია და ადგილობრივი მმართველობის სტრუქტურებში სოციალური მომსახურების რაღაც ნაწილის ინტეგრირება. „განსაკუთრებით მაღალმთიან რეგიონებში, პერიფერიებში, სადაც სოციალურ მუშაკებს უჭირთ ხმის მიწვდენა".

მონიტორინგის განმავლობაში განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გამოჩნდა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე „ჩაკეტილი" უწყება. მისი კოორდინაცია რეფერალური მექანიზმების სხვა სუბიექტებთან და ჩართულობა ძალადობის პრობლემაზე რეაგირების საკითხში საკმაოდ სუსტია. პედაგოგებს უჭირთ გათავისება, რა პასუხისმგებლობა ეკისრებათ სოციალურ მუშაკებთან, სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობისათვის. ჩატარებულ ფოკუსჯგუფებზე გამოიკვეთა შეხედულება, რომ „პოლიციიდან უფრო მეტი შეტყობინება მოდის,

ვიდრე საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან. სკოლის დირექტორები, პედაგოგები მაინც თავს იკავებენ შეტყობინებებისაგან და შემთხვევების გასაჯაროებისაგან“.

სამინისტრო აქტიურად მუშაობს სამოქალაქო განათლების რეფორმაზე, მაგრამ სკოლებში ამ კუთხით პროგრესი არ შეიმჩნევა. მიუხედავად იმისა, რომ გაცხადებულია სამინისტროს პოლიტიკა ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და ძალადობის პრევენციაში უწყების როლის შესახებ, გამოკითხული 150 პედაგოგიდან კითხვაზე - გაქვთ თუ არა სპეციალური ინსტრუქციები ოჯახში ძალადობის ფაქტებზე რეაგირებისათვის - მხოლოდ 38% პასუხობს დადებითად. 40% თვლის, რომ არა აქვს ასეთი ინსტრუქცია, ხოლო 22%-ს ამის შესახებ არაფერი გაუგია. რაც შეეხება ინფორმაციას პედაგოგების პასუხისმგებლობაზე ძალადობის ფაქტების იგნორირებისას: 40.6%-მა იცის ამის შესახებ. დანარჩენს არ სმენია ამის თაობაზე. თვითონ პრობლემის არსებობაც არ არის აღქმული პედაგოგების მიერ. კითხვაზე - ჰქონიათ თუ არა თავისი პედაგოგიური მოღვაწეობის განმავლობაში მოსწავლეებზე პირდაპირი ან ირიბი ძალადობა, 38% პასუხობს დადებითად.

მონიტორინგმა უჩვენა **სახალხო დამცველის აპარატის** გააქტიურება წინა წლებთან შედარებით. ეს, ძირითადად, მოხდა გენდერული დეპარტამენტის საქმიანობის ხარჯზე, რომელიც საკმაოდ ხშირად აკეთებს რეკომენდაციებს, რა მიმართულებით უნდა გაიზარდოს ინტერვენცია, რომელია ძალადობისაგან დაცვის სუსტი მხარეები. განსაკუთრებით კრიტიკული იყო დეპარტამენტი კანონის „გენდერული ნეიტრალობის“ მიმართ და მიიჩნევდა, რომ ამით არ ხდება ხაზგასმა იმისა, რომ ქალები უფრო ხშირად არიან ძალადობის მსხვერპლნი (საკითხი გამოსწორდა საკანონმდებლო ცვლილებათა ახალი პაკეტით, იცვლება კანონის დასახელებაც „ქალთა ძალადობისაგან დაცვის...“).

მონიტორინგმა გამოავლინა „ცხელი ხაზების“ სხვადასხვაენოვანი ოპერატორების, ასევე - რეგიონებიდან უფასო ზარების ხელმისაწვდომობის აუცილებლობის საკითხი.

გამოჩნდა სხვა არაერთი საჭიროება. მაგალითად - „რთული“ მოზარდი გოგონებისათვის (რომელთა რაოდენობის ზრდის ტენდენცია აშკარაა) სპეციალიზირებული დაწესებულების საჭიროება.

ერთ-ერთი ყველაზე გამოკვეთილი ხარვეზი კანონის იმპლემენტაციში არის ერთიანი სტატისტიკური ბაზის არარსებობა, რომელიც სხვადასხვა უწყების მხრიდან ძალადობის ფაქტების, მსხვერპლთა რაოდენობის და იდენტიფიკაციის და ა.შ. - განსხვავებულ მონაცემებს გვთავაზობს და დამაბნეველია. განსხვავებულია სახალხო დამცველის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, საგენტოს მონაცემები. ეს საკითხი პირველი რიგის ამოცანად უნდა იქცეს ახალ სამოქმედო გეგმაში.

ყველა დონის შეხვედრაზე დადგა დღის წესრიგში სოციალური მუშაკის ინსტიტუტის საკითხი. ეს, საქართველოში შედარებით ახალი და კარგი სასტარტო პოზიციით დაწყებული საქმე, საფრთხის ქვეშაა. მისი განვითარების ნაცვლად სახეზეა კადრების დენადობა. აუცილებელია ინსტიტუტის სასწრაფო რეორგანიზაცია, რომლის ადვოკატირება ფონდი „სოხუმის“ მიერ სხვადასხვა დონეზე დიდი ხანია ხდებოდა. სასიხარულოა, რომ ამ საკითხზე უკვე ხმამაღლა დაიწყო საუბარი და ინფორმაცია 70-მდე სოციალური მუშაკის ახალი შტატის დამატებაზე ნამდვილად წაადგება საქმეს. ასევე უმნიშვნელოვანესია ოჯახში ძალადობის საკითხებზე ცალკე სოციალური მუშაკის გამოყოფა, რომელსაც არ ექნება შეთავსებული სხვა ქეისები. ეს აუცილებელია შემთხვევების მართვის, რისკ-ჯგუფებთან მუშაობის კუთხით.

მონიტორინგის პროცესში გამოიკვეთა კვალიფიციური ექსპერტები, მათ შორის არაერთი უფლებადამცველი, პრაქტიკოსი, რომელსაც ყოველდღიური შეხება აქვს საკითხთან და თვალნათლივ ხედავს ყველა ხარვეზს კანონის გამოყენების თვალსაზრისით. მათ აქვთ ინფორმაცია, რომელიც საჭიროა სფეროს უფრო ეფექტური საქმიანობისათვის. მიუხედავად ამისა, არ ხდება მათი პოზიციების შეჯერება ხარვეზების გამოსწორების გზების შესახებ. სასურველია, საუწყებათაშორისო საბჭოს თაოსნობით შეიქმნას ასეთ ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც იქნება ინფორმაციის გამტარი დაზარალებულსა და სახელმწიფოს შორის და არსებული სუსტი წერტილების აღმოჩენით ხელს შეუწყობს კანონის შემდგომ დახვეწას.

მონიტორინგის პროცესში რიგ თვითმმართველობებში გამოვლინდა ადგილობრივი სახელისუფლებო სტრუქტურების მონაწილეობა ძალადობის პრევენციაში და მსხვერპლის დახმარებაში. გამოიკვეთა ცალკეული პრეცედენტები, როცა ადგილობრივი ბიუჯეტიდან ხდება ძალადობის მსხვერპლის ერთჯერადი დახმარება, ბინის ქირისათვის თანხის გამოყოფა. მონი-

ტორინგმა ცხადყო ამ რგოლის სისტემატური არაფორმალური ჩართულობა პრობლემაზე რეაგირებაში და დღის წესრიგში სათანადო საკანონმდებლო ცვლილებების საჭიროება.

ცალკე დგას საგანმანათლებლო ტრენინგების საჭიროების და ინფორმირების საკითხი, რომლის გარეშეც ძნელი იქნება ადგილობრივ დონეზე ერთ-ერთ ყველაზე გამოკვეთილ გენდერულ გამოწვევაზე პასუხი.

მონიტორინგმა აჩვენა სპეციალიზირებული სასამართლოს საჭიროება: იმ შემთხვევებშიც კი, როცა საკითხი სასამართლომდე მიდის, ხშირად არის მიღებული არაადეკვატური გადაწყვეტილება (მაგ. ძალადობის შემთხვევაში მხოლოდ ქონებრივი საკითხის გადაჭრა და მსხვერპლის და მოძალადის იზოლირების საჭიროების უგულებელყოფა).

პრაქტიკოსებმა არაერთხელ დააყენეს მულტიდისციპლინარული ჯგუფის საჭიროების საკითხი (პოლიცია, ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი) ძალადობის შემთხვევების იდენტიფიკაციისა და მართვის დროს. ეს განსაკუთრებით ეხება სკოლამდელი დაწესებულებების პერსონალს. გამოვლინდა, რომ გაეროს ბავშვთა ფონდის დაჟინებული რეკომენდაცია - ძალადობის შემთხვევების შესახებ ინფორმაციის მიწოდებისა და რეფერირების პროცესში ჩართული იყვნენ საბავშვო ბაღების პედაგოგები, მედპერსონალი - თითქმის არ არის გათვალისწინებული.

მონიტორინგის პროცესში სხვადასხვა დონეზე გამოიკვეთა არასამთავრობო სექტორის განსაკუთრებული როლი. შსს პასუხისმგებელი პირის თქმით, „ზოგჯერ მსხვერპლს გარკვეული უნდობლობა აქვს სახელმწიფო უწყებების და ოჯახის წევრების მიმართ და მას სწორედ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, კარგი სპეციალისტი შეიძლება მოევლინოს მხსნელად, მისგან მიიღოს შესაბამისი კონსულტაცია, დახმარება და მისი უშუალო ჩარევით მოახერხოს თავისი პრობლემების მოგვარება“.

ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის მიხედვით, ქალი დაცული იქნება არა მხოლოდ საოჯახო, არამედ საზოგადოებრივ სივრცეშიც.

ფონდი „სოხუმის“ მიერ ჩატარებული მონიტორინგის შუალედურ ანგარიშში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა მსხვერპლის დაცვის მიზნით გამოცემული შემაკავებელი ორდერის მიღების კუთხით არსებულ სირთულეებს, რომელზედაც მიუთითებდნენ როგორც მსხვერპლები, ასევე პოლიციის მუშაკები. რეკომენდაცია შეეხებოდა პროცესის გამარტივების საკითხს.

მისასალმებელია, რომ ახალ საკანონმდებლო პაკეტში ეს ნორმა გათვალისწინებულია: უფრო სწრაფი და ეფექტური ხდება ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის დაცვისა და მოძალადის შეზღუდვის დროებითი ღონისძიება, რომელიც „შემაკავებელი ორდერის“ სახელწოდებით არის ცნობილი. თუ დღემდე მოქმედი კანონმდებლობით პოლიციის ოფიცრის მიერ გაცემული შემაკავებელი ორდერი სასამართლოს მიერ დამტკიცებას მოითხოვდა, ცვლილებების ამოქმედების შემდეგ შემაკავებელი ორდერი გამოცემისთანავე შევა ძალაში. ეს ცვლილება, იუსტიციის სამინისტროს აზრით, გააძლიერებს პოლიციას ამგვარი ტიპის ძალადობასთან ბრძოლაში და შემაკავებელი ორდერი უმოკლეს დროში შედეგის მომტანი გახდება.

მაშინ, როცა კანონი უფრო უსამართლოა, ვიდრე სამართლიანი - ჩვენი დაკვირვებით, კანონის იმპლემენტაციის კუთხით ხშირად იკვეთებოდა ისეთი ხარვეზები, რომლებიც მთლიანად კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტურობას მსხვერპლის დაცვის და რეაბილიტაციის კუთხით. მაგალითად, როგორც არაერთ შეხვედრაზე აღინიშნა, ხშირია შემთხვევა, როცა მსხვერპლი არის სიღარიბის ზღვარს ქვემოთ და სტატუსი ეხსნება, როდესაც მოძალადეს გაერიდება და სახლიდან მიდის. პრაქტიკოსთა შეფასებით, ეს დიდი უსამართლობა და საკანონმდებლო ლაფსუსია: „უსახლკაროზე მეტი სოციალურად დაუცველი ვინ არის, მაგრამ სოციალურ აგენტებს არ შეუძლიათ არანაირი დახმარება, კანონის საწინააღმდეგოდ ვერ წავლენ“. ჩვენი წინადადებაა, რომ ეს კატეგორია იყოს გათვალისწინებული სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მდგომ მოსახლეობაში და სახელმწიფომ განსაზღვროს მისი დაცვის ღონისძიებები.

ორგანიზაცია ამ ეტაპზე მუშაობს მონიტორინგის საბოლოო ანგარიშზე, რის შემდეგაც, ფონდი „სოხუმი“, სახელმწიფოსგან მისთვის მინიჭებული მანდატის საფუძველზე, საუწყებათშორისო საბჭოს წარუდგენს სარეკომენდაციო ხასიათის წინადადებებს, რომლებიც, ჩვენი ღრმა რწმენით, სასარგებლო იქნება ოჯახში ძალადობის პრობლემის მოგვარებასთან დაკავშირებული საკითხების, მსხვერპლის დაცვის უფრო ეფექტური ღონისძიებების გასატარებლად.

ფონდი „სოხუმი“ 2016 წლიდან ისევ გააგრძელებს კანონის იმპლემენტაციის მონიტორინგს, რაც, პარტნიორების აღიარებით, საშური და საპასუხისმგებლო ამოცანაა. სასურველია - უფრო მეტი რესურსებით და მასშტაბებით.

ემა კამკია, მონიტორი

ქუთაისის ქალთა მხარდაჭერის ცენტრი

სამობილიზაციო შეხვედრაზე

მობილიზატორი
ლარისა შენგელია

ფსიქოლოგი
მანანა გოცირიძე

იურისტი
თამარ გოგოხია

„საინტერესოა, დადებითი აურაა, ბევრ სიახლეს ვიგებ, ყოველთვის მიხარია აქ მოსვლა," - ამგვარად აფასებენ ქალბატონები ქალთა მხარდაჭერის ცენტრში ყოველთვიურ ტრადიციულ შეხვედრებს.

ქუთაისის ქალთა მხარდაჭერის ცენტრი, რომელიც 2009 წლიდან ფუნქციონირებს, დევნილ და ადგილობრივ ქალბატონებს აერთიანებს.

ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია, ფსიქოლოგისა და იურისტის კონსულტაცია, ასევე, პერიოდულად რეპროდუქტოლოგის რჩევები - ეს ის თემებია, რაზეც ცენტრის შეხვედრებზე ქალბატონები ამომწურავ და კვალიფიციურ ინფორმაციას იღებენ.

„ქალთა მხარდაჭერის ცენტრის მიერ გამართულ შეხვედრებზე ქალებს მარტივ და გასაგებ ენაზე შეუძლიათ ინფორმაციის მიღება. ვატარებთ სხვადასხვა ღონისძიებას მაგალითად, ბავშვთა დაცვის, მშვიდობის, დევნილთა დღესთან თუ სხვა მნიშვნელოვან თარიღებთან დაკავშირებით," - ამბობს ცენტრის მობილიზატორი, ლარისა (ლელა) შენგელია.

ფსიქოლოგი მანანა გოცირიძე ქალთა მხარდაჭერის ცენტრში გამართული შეხვედრების მნიშვნელობაზე საუბრობს. მისი განმარტებით, მსგავსი ტიპის შეხვედრები ქალების გახსნილობას, მენტალიტეტის ცვლილებას და სტერეოტიპების მსხვრევას უწყობს ხელს.

„პრაქტიკული მაგალითები უფრო ათვისებადია, ამიტომ ვცდილობთ გასაგები ენით ვაჩვენოთ მაგალითები, რომლებიც განსაკუთრებით დაბალი თვითშეფასების ქალებისთვისაა მნიშვნელოვანი. დასაწყისში უჭირდათ ქალებს გახსნა, მაგრამ მსგავს პრაქტიკულ მაგალითებზე საუბრებმა ისინი უფრო თავისუფალი გახადა. ახალგაზრდობა სხვაგვარად ხედავს ოჯახის შექმნის საკითხებს, ვიდრე შუა ხნის ქალბატონები. იცვლება სტერეოტიპები, მენტალიტეტი და მიდგომები. ჩვენი შეკრებები არის პროვოკაცია იმისთვის, რომ ქალები უფრო გულახდილები გახდნენ და ისაუბრონ მეზობლის, მეგობრის ან საკუთარ ისტორიებზე. ჩვენს ირგვლივ ბევრია ოჯახური კონფლიქტის, ძალადობის შემთხვევა და თუ ამაზე არ ვისაუბრეთ, თუ ვიღაცამ ამაზე არ თქვა და გავჩუმდით, პრობლემა ისევ დარჩება," - ამბობს ფსიქოლოგი მანანა გოცირიძე.

ქუთაისში მცხოვრები თინა ხობელია, რომელიც წარმოშობით აფხაზეთიდანაა, უკვე 5 წელია ქალთა მხარდაჭერის ცენტრის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებს ესწრება. როგორც ამბობს, მისთვის ასეთ შეხვედრებზე დასწრება ორმხრივი სარგებლის მომტანია, რადგან საკუთარ გამოცდილებას უზიარებს სხვებს და თავადაც მეტად ინფორმირებული ხდება.

„სხვადასხვა ასაკის და პროფესიის ქალბატონებთან ურთიერთობა, მათთვის საკუთარი გამოცდილების და კეთილი რჩევის მიცემა ძალიან სასიამოვნოა. ზოგიერთი ახალგაზრდაა

და რჩევა-დარიგებას ელოდება უფროსი თაობისგან. სიამოვნებით მოვდივარ აქ იმიტომ, რომ კარგი აურა აქვთ ქალბატონებს. თავადაც ბევრ სიახლეს ვიგებ. საინტერესოა იურისტისგან ინფორმაციის მიღება კანონმდებლობის, ქალთა უფლებების და საჭიროებების შესახებ. ვისურვებდი, რომ მეტი ქალი ჩაერთოს ამ პროექტში, რადგან ბევრი ქალია სახლში და ინფორმაციის ნაკლებობა აქვს. მოვლენ, მოისმენენ, განიტვირთებიან, ინფორმაციას მიიღებენ და თავიანთ პრობლემებსაც ადვილად მოაგვარებენ," - დარწმუნებულია თინა ხობელია.

მსგავს შეფასებას აკეთებს ქალთა მხარდაჭერის ცენტრის შეხვედრაზე მყოფი ქუთაისელი მარი ხურციძე. როგორც თავად განმარტავს, ცენტრში მხოლოდ ორ შეკრებას დაესწრო, თუმცა ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ აქ მიღებული ინფორმაცია ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოიყენოს.

„ორჯერ მოვედი სულ და სტიმული მომეცა იმისთვის, რომ ოჯახში ურთიერთობები უკეთესად დავალაგო. მივიღე მეტი ინფორმაცია და ეს ჩემს ყოველდღიურ საქმიანობაში გამომადგება. უფრო მეტს ვფიქრობ და სპონტანურ გადაწყვეტილებას არ ვიღებ. ვიცი, რა არის სწორი და რა არასწორი, როგორ უნდა მოვიქცე. ვფიქრობ, ქალი აქტიური უნდა იყოს. ქალს არა აქვს მოდუნების უფლება," - აღნიშნავს მარი ხურციძე.

ცენტრის მობილიზატორი ლარისა შენგელია ამბობს: - ქუთაისის ქალთა მხარდაჭერის ცენტრი ის ადგილია, სადაც ქალბატონები სიამოვნებით მოდიან წლის ნებისმიერ დროს, რადგან ზამთარში აქ სითბო ეგულებათ, ცხელ ზაფხულში კი - სიგრილე... ჩაისა თუ ყავის სმაში ერთმანეთს საკუთარ ამბებს უყვებიან, გამოცდილებას უზიარებენ, რჩევებს აძლევენ, ბევრ საინტერესოსაც იგებენ. რომელ ერთ ქალბატონზე გიამბოთ... ნელი ჭანტურია ხშირად იმეორებს, რომ აქ საკუთარი პრობლემები ავიწყდება და ამიტომაც სიხარულით მოდის შეხვედრებზე. ასეა ქეთი ნიკოლაიშვილიც, მარიკა ტვილდიანიც. მაია დავითაშვილი, მართალია, ექიმია, მაგრამ, როგორც ამბობს, აქ მოსვლა და სხვა აქტივისტებთან ურთიერთობა მისთვის წამალს უდრის. მთხოვს ხოლმე, რომ ყოველთვის მოვიწვიო. ირმა ვაშაკიძე ახალგაზრდა ქალბატონია. რთულად წავიდა მისი ცხოვრება. ცენტრში მოსვლის შემდეგ ძალიან შეიცვალა, საკუთარი თავის რწმენა და იმედი გაუჩნდა, სამსახურის ძებნაც დაიწყო და ცვლილებებს ელოდება. მზია მურუსიძემ უკვე დაიწყო მუშაობა. ფსიქოლოგიური საუბრების შემდეგ დაძლია დროებითი უმუშევრობის რთული პერიოდი და კვლავ დაუბრუნდა საბანკო სამსახურს, რაც ყველა აქტივისტისთვის სასიხარულო ამბად იქცა...

ჩვენს ცენტრს თავისი აქტიური ქალბატონები ჰყავს. მათ თავიანთი მეგობრები, ახლობლები მოჰყავთ. ზოგს იურისტის კონსულტაცია სჭირდება, ზოგს - ფსიქოლოგის, ზოგიერთს კი - უბრალოდ, განტვირთვა, ადამიანებთან ურთიერთობა...

ცენტრთან აქტიურად მუშაობს ახალგაზრდული კლუბი. მისი წევრები არ შემოიფარგლებიან მხოლოდ კლუბში მიმდინარე საქმეებით, არამედ დევნილთა კოლექტიურ ცენტრებში, სკოლებსა თუ უნივერსიტეტებში სხვადასხვა ღონისძიებას ატარებენ - საინფორმაციო შეხვედრებს, აქციას, ვორკშოპს, ფილმის ჩვენებასა და დისკუსიას...

საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრა ფსიქოლოგთან და იურისტთან ქალთა მხარდაჭერის ცენტრში

ქუთაისის ქალთა მხარდაჭერის ცენტრი

აქ იკრიბებიან ახალგაზრდებიც და შედარებით ასაკოვანი ქალბატონები, დევნილებიც და ადგილობრივებიც. ისინი ყოველ შეხვედრაზე ახლობლებივით ხვდებიან ერთმანეთს. ასე, რომ ცენტრი ინტეგრაციასაც უწყობს ხელს... შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანების ინტეგრაციაზეც ვზრუნავთ. მაგალითად, ნატო კუპატაძე ხშირად დადის შეხვედრებზე, 25 ნოემბერს აქციაზეც მიიღო მონაწილეობა...

შშმ პირთა საერთაშორისო დღეს, 3 დეკემბერს, დღის ცენტრს ვეწვიეთ სტუმრად. გაირკვა, რომ ერთ-ერთ ბენეფიციარს იურისტის კონსულტაცია სჭირდებოდა. შემდეგ მაია ფირცხელავა ქალთა მხარდაჭერის ცენტრში მოვიდა და მიიღო პასუხი მისთვის საინტერესო კითხვებზე.

ლარისა შენგელია ქუთაისის გენდერული საკონსულტაციო საბჭოს წევრია. კარგად იცნობს ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამებს. გარდა ამისა, სისტემატურად ესწრება საკრებულოს სხდომებს და იქ მიღებულ ინფორმაციას აწვდის სამობილიზაციო შეხვედრების მონაწილეებს თუ ქალთა მხარდაჭერის ცენტრში შეკრებილებს.

ცენტრის მობილიზატორმა, სამუსიკო სკოლა-ინტერნატში მცხოვრებ ქალბატონს, რომელსაც თანხა სჭირდებოდა ოპერაციის შემდეგ თბილისში გამოკვლევის ჩასატარებლად, გაუწია შუამდგომლობა საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიაში. მერე გაირკვა, რომ ამ ქალბატონის ვაჟიშვილს უკვე გადაურიცხავს თანხა და არ დასჭირდათ. თუმცა მან ცენტრის მობილიზატორს თანადგომისა და მონდომებისათვის დიდი მადლობა გადაუხადა: ისეთი მადლობელი ვარ, თითქოს ეს თანხა გეჩუქებინოთო...

მობილიზატორი საინფორმაციო შეხვედრებს ატარებს სახელმწიფო სტრუქტურებში. ერთ-ერთია სოციალური მომსახურების სააგენტო. მას მერე, რაც სააგენტოში გაიგეს, რომ ფონდ „სოხუმში“ შეიძლება იურისტისა და ფსიქოლოგის უფასო კონსულტაციის მიღება, ბენეფიციარებს აგზავნიან ქალთა მხარდაჭერის ცენტრში (სააგენტოში მხოლოდ ბავშვებთან მომუშავე ფსიქოლოგები ჰყავთ).

მობილიზატორს დევნილთა კოლექტიურ ცენტრებში ოჯახის წევრივით ხვდებიან. მან ყველას პრობლემა იცის. არის შემთხვევები, როდესაც ასაკოვან ქალებს გადაადგილების პრობლემა აქვთ, ან ზოგჯერ ტრანსპორტის გადასახდელი თანხაც არ აქვთ. ასეთ შემთხვევებში მობილიზატორს ფონდის იურისტი და ფსიქოლოგი კოლექტიურ ცენტრში მიყავს და იქ ატარებენ საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრას. ყოველთვიურად სამი სამობილიზაციო შეხვედრა იმართება ქუთაისის სხვადასხვა კოლექტიურ ცენტრში.

მობილიზატორი არაერთ ქალბატონს დახმარებია სხვადასხვა პრობლემის ადვოკატირებაში: ერთად წერენ განცხადებას, თუ საჭიროა, მიდიან სხვადასხვა უწყებაში... რამდენიმე ქალბატონს მისი დახმარებით აღუდგინეს სოციალური დახმარება. სწორედ ლარისა დაეხმარა დევნილებს, შემდეგ უკვე მათ მიიყვანეს საქმე ბოლომდე და მოგვარდა სამი პრობლემა: მოასფალტდა სამთო ტექნიკუმის მისასვლელი გზა, ექსპერტიზა ჩაუტარდა სასტუმრო „ხვამლის“ კოლექტიური ცენტრის შენობას, კეთდება ბავშვთა გასართობი მოედანი სამუსიკო სკოლა-ინტერნატის კოლექტიურ ცენტრში.

- სხვებს რომ ვურჩიო, დავეხმარო, მე თვითონ უნდა ვიცოდე, - ამბობს ლარისა და სისტემატურად ეცნობა სიახლეებს დევნილთა განსახლებისა თუ კანონმდებლობის საკითხებში, ესწრება საკრებულოს სხდომებს, არასამთავრობო ორგანიზაციების პერიოდულ შეხვედრებს, მონაწილეობს ტრენინგებში, რადიო თუ სატელევიზიო გადაცემებში. ახლახან გაიარა სატრენინგო კურსი კიევსა და ბერლინში „იძულებით გადაადგილებულ პირთა ხმა“.

ასე გროვდება ცოდნა, გამოცდილება, რომელიც კიდევ უფრო აძლიერებს ქალთა მხარდაჭერის ცენტრის საქმიანობას.

ქუთაისის ქალთა მხარდაჭერის ცენტრი ფონდი „სოხუმის“ ოფისში მდებარეობს და ის ფონდის ერთ-ერთი სახეა...

დეა მანაგაძე
„ქუთაისი-პოსტის“ ჟურნალისტი - სპეციალურად „ქალთა ხმისთვის“

ხურჩა/კოკის ქალთა მხარდაჭერის ცენტრი

მრგვალი მაგიდა ხურჩაში

მობილიზატორები
ნონა ბუკია
დალილა ჩიქავა

ფსიქოლოგი
მანანა გოცირიძე

იურისტი
ნანა ქანთარია

აქაურები ამბობენ, ჩვენს სოფელში ყოველ საღამოს ჰაერს კონფლიქტის სუნი მოაქვს და დაწოლის წინ თითქმის ყველა ქალი უფლისგან წყალობას ითხოვს, ღმერთო, ხვალინდელი დილა მშვიდობიანი გაგვითენეო.

ხურჩა გამორჩეულია იმით, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ეს სოფელი ენგურს გაღმა, აფხაზეთთან მდებარეობს და ეს ყველაფერში იგრძნობა.

წლების წინ, გზას სოფელ კოკიდან ხურჩამდე, განსაკუთრებით ცუდ ამინდში, თითქმის ერთი საათი ვუნდებოდით. ახლა 15 წუთში გავდივართ, თანამედროვე იერი დაედო აქაურობას, მოსახლეობას წელს პირველად ბუნებრივი აირი მიეწოდა.

სოფლის ცენტრში მაშინვე თვალში გეცემათ ლამაზი შენობა, ასეთივე ლამაზი ეზოთი, საბავშვო ატრაქციონებით. დიდი მიხვედრა არ უნდა - ეს საბავშვო ბაღია. მისი დათვალიერებისას თითქმის ყველა მნახველს კმაყოფილება სახეზევე ეხატება.

ცენტრში ერთსართულიანი მოკრძალებული შენობა დგას, დიდი, კოხტა ეზოთი. ეს სამოქალაქო განათლების რესურს-ცენტრია, სწორედ ამ შენობაშია ფონდი „სოხუმის“ ქალთა მხარდაჭერის ცენტრი.

ჩვენი მიზანი სულაც არ არის ხურჩისა და მისი ლამაზი ადგილების ხატოვნად აღწერა. განსაკუთრებული ინტერესი ამ საკითხებისადმი იმით არის გამოწვეული, რომ ყველა ამ კეთილი საქმის უკან ქალების განსაკუთრებული აქტიურობაა. აქტიურობა კი გულისხმობს ადვოკატირების გრძელ პროცესს, განცხადებებითა და წერილებით ერთი ინსტანციიდან მეორეში სიარულს, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ადგილობრივ ხელისუფლებასთან თანამშრომლობას.

ქალთა მხარდაჭერის ცენტრის მობილიზატორია ნონა (დოდო) ბუკია. სოფელში მასზე უამრავ ისტორიას მოისმენ, ყველა ოჯახის გულშემატკივარია. სოფლის პრობლემებს კარგად იცნობს და ამბობს, რომ ყოველთვის, როცა რომელიმე პრობლემის მოგვარებას იწყებენ, დარწმუნებულნი არიან, რომ საქმეს ბოლომდე მიიყვანენ.

„თუ არ გჯერა იმის, რასაც აკეთებ, შეუძლებელია ცვლილების მიღწევა. გზის გაკეთება წლების განმავლობაში ჭიანურდებოდა, გვპირდებოდნენ, მაგრამ მაინც არ იძვროდა საქმე. ვინ არ შევაწუხეთ, სად არ ვიარეთ. მთელ სოფელში განცხადებები შევაგროვეთ, ამან, რა თქმა უნდა, გავლენა იქონია. ყველაფერი სახელმწიფომ გააკეთა, მაგრამ პროცესების დაჩქარებას ხელი შევუწყვეთ. ასევე იყო საბავშვო ბაღის შემთხვევაშიც, ბაღის გამგეს ცისანა დარასელიას ლამის დღე და ღამე არ ეძინა. თვეების განმავლობაში ბაღის პერსონალი უხელფასოდ დადიოდა, რომ მუშაობა არ გაჩერებულიყო. საჭირო ფართიც არ ჰქონდათ. შენობა კოოპერატივის სახელზე იყო და ბაღის სახელზე დაკანონება რთული იყო. ჩვენ ყველანი მის გვერდით ვიყავით და მასთან ერთად ვიზრუნეთ, რომ საბოლოოდ ასეთი შედეგი მიგვეღო.“

საბავშვო ბაღმა ქალთა პრობლემები გაა-

ნახევრა. დედები კმაყოფილებას ვერ მალავენ, რადგან შვილები კომფორტულ გარემოში ეგულებათ. დროც გამოუთავისუფლდათ.

დოდო ბუკია ხურჩის სათემო კავშირის წევრია. კავშირის თავმჯდომარე ჯამბულ ეხვაია ამბობს, რომ სოფელში თავისით არაფერი გაკეთებულა, არც ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია არ დაინტერესდება შენით, თუ შენი აქტიურობა არ იგრძნო. ბევრი რამ შეიცვალა და ეს ქალთა აქტიურობით მოხდა.

შენობაში, სადაც ქალთა მხარდაჭერის ცენტრია, საპირფარეშო არ იყო, ამ საკითხის მოგვარებით ქალები დიდი ხანია დაინტერესებულნი არიან, სათემო კავშირთან ერთად განცხადება დაიწერა, ხელმოწერები შეგროვდა და სოფლის სუბსიდიით ეს პრობლემაც გადაიჭრა.

სხვა ცენტრებისგან განსხვავებით, აქ მოსმენილი ისტორიები განსხვავებულია. ასეთ პრობლემებს სხვა ცენტრებში ვერ მოისმენ - როგორ დააკავეს „საზღვართან“ ბავშვიანი ქალი, როგორ გადმოიყვანეს სასწრაფო საოპერაციოდ მამაკაცი, ასეთი ამბები აქ არავის უკვირს. გულდაწყვეტილი სიტყვებიც ხშირად ისმის: „უპატრონობის, დაუცველობის შეგრძნება არასოდეს გვტოვებს და ეს საშინელებაა. სახელმწიფოზე მეტად ერთმანეთს ვეხმარებით, ერთმანეთს ვაძლიერებთო“.

იქ ინფორმაციის დეფიციტია. ყველა ხელფეხშეკრულია, რადგან არ იცის, არსებობს თუ არა რაიმე გამოსავალი მისი პრობლემებიდან. იურისტი ნანა ქანთარია ეხმარება ქალებს, ხან საჭირო დოკუმენტების მოსამზადებლად, ხან - ოჯახური კონფლიქტების მოსაწესრიგებლად, ხანაც მიმართულებას აძლევს, როგორ მოიქცნენ, რა გზას მიმართონ.

ქალთა მხარდაჭერის ცენტრში ერთმანეთის გამოცდილებას იზიარებენ, ერთმანეთს ფსიქოლოგიურად აძლიერებენ.

ხურჩაში, ისევე როგორც დანარჩენ საქართველოში, ქალთა ძალადობის საკითხი საკმაოდ პრობლემურია. სამუშაო საოჯახო მეურნეობის გარდა თითქმის არ არის. დაუსაქმებელი მამაკაცები ალკოჰოლს ეტანებიან, რაც ხშირად ოჯახური კონფლიქტების მიზეზი ხდება. ამ სიტუაციას კიდევ უფრო ართულებს საკითხის მიმართ სტიგმატური დამოკიდებულება. ქალები ფაქტებს არ ახმაურებენ და, შეგნებულად თუ შეუგნებლად, ძალადობის მსხვერპლნი ხდებიან.

ქალთა მხარდაჭერის ცენტრის აქტივისტები ფხიზლად არიან. სწორედ ამ მდგომარეობიდან გამომდინარე შეიქმნა მედიატორთა ჯგუფი. ჯგუფში სამი ქალბატონია. ისინი სოფელში პატივისცემით სარგებლობენ, ამ ფაქტორს კი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კონფლიქტის მოგვარების დროს. დოდო ბუკია ყვება რეალურ ისტორიებს, ღამის 11 საათზე მეზობელმა როგორ დაურეკა და სთხოვა, მისულიყო მის ოჯახში, რადგან მეუღლესთან კონფლიქტს ვერ აგვარებდა: „ჩემმა ჩარევამ დადებითად იმოქმედა, მე იქ არ მითქვამს, რომ ჭკუის სასწავლებლად მოვედი. უბრალოდ სიტუაცია გავანეიტრალე“.

მსგავსი მაგალითი ხშირია. მედიატორები მიდიან მეზობლებთან, ახლობლებთან და ცდილობენ, კონფლიქტური სიტუაცია მოაგვარონ ისე, რომ ოჯახის არც ერთმა წევრმა თავი უხერხულად არ იგრძნოს. მათ კარგად იციან, რომ ყველა ოჯახს საკუთარი წესები აქვს და სწორედ ისე უნდა მიუდგე, რომ ეს წესები არ დაარღვიო. კონფლიქტის დროს ხშირად წვრილმანი მიზეზები მოქმედებს, ორივე მხარეს უნდა დაანახო, რომ არ ღირს ამისთვის ზედმეტი ხმაური, სხვაგან უარესებიც ხდება, მაგრამ ის გზა უნდა ავირჩიოთ, რომელიც უკეთესია.

მედიატორები ყვებიან, რომ დახმარებისთვის ისეთმა ოჯახებმაც მიმართეს, ვერც კი წარმოდგენდნენ, იქ თუ რამე პრობლემა იყო, რაც იმის დასტურია, რომ სტიგმები და სტერეოტიპები თანდათან იმსხვრევა. ერთმანეთს პატივს სცემენ და ერთმანეთისგან მხარდაჭერას იღებენ. ამ ყველაფერში პერიოდულად ჩატარებული კონფლიქტოლოგიის ვორკშოპებიც ეხმარებათ. კონფლიქტების მართვის წესებს პრაქტიკაშიც იყენებენ.

თვეში ერთხელ ცენტრში ფონდის ფსიქოლოგი მანანა გოცირიძე ჩამოდის და ჯგუფურ თუ ინდივიდუალურ შეხვედრებს ატარებს. ამ დროს აქ ყველაზე ღია და გულახდილი საუბრები ისმის. საკუთარ პრობლემებს ფსიქოლოგს უზიარებენ და შესაბამის რჩევებსაც იღებენ.

ია თორია ამბობს, რომ ფსიქოლოგის კონსულტაციები ბევრ რამეში დაეხმარა - სულიერად გაძლიერდა და იპოვა გზა საკუთარი პრობლემების მოსაწესრიგებლად. „გაბედა“ ის, რასაც ადრე

რეპროდუქტოლოგთან შეხვედრა სოფელ კოკში

ვერ გაბედავდა. ახლა საკუთარი ცხოვრებით კმაყოფილია და თვითშეფასებაც აიმაღლა.

სვეტა კუტოშვილი თითქმის ყველა შეხვედრას ესწრება და კარგად იცის, საკუთარი ოჯახური პრობლემების მოსაგვარებლად რა გზას აირჩევს.

დალილა ჩიქავა ერთ წელიწადზე მეტია, ქალთა მხარდაჭერის ცენტრის მეორე მობილიზატორი გახდა. კოკის საჯარო სკოლის დირექტორია, სოფელში განსაკუთრებით პატივსაცემი ქალბატონი. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინა მოწვევის დეპუტატი იყო - 41 წევრს შორის ერთადერთი ქალი.

როცა მეორე მობილიზატორის დანიშვნის საკითხი დადგა, დალილა სიამოვნებით დათანხმდა, რადგან აინტერესებს არასამთავრობო სექტორის მუშაობის სპეციფიკა. ფონდ „სოხუმში“ ხედავს პარტნიორს, რომელიც ქალებისა და გოგონების გააქტიურებაზე, მათ უკეთეს ცხოვრებაზე ზრუნავს.

ახლა ხურჩის ქალთა მხარდაჭერის ცენტრში ქალბატონები კოკიდანაც გამოჩნდნენ. ქალებს მოსწონთ, როცა მათი აზრი აინტერესებთ, როცა იურისტი პრობლემების მოგვარებაში ეხმარებათ, ფსიქოლოგი კი იმაზე ზრუნავს, რომ ოჯახში მშვიდი გარემო იყოს, სტრესთან გამკლავება გაადვილდეს, თვითშეფასება აუმაღლდეთ და ძილიც კი გაუუმჯობესდეთ ქალებს...

დალილა ჩიქავა ფონდ „სოხუმთან“ სკოლის მოსწავლეებთან ერთად, რამდენიმე წელია, თანამშრომლობს. ცდილობს, მოსწავლეები ასაზრდოოს არაფორმალური განათლებით, რასაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. ხედავს, როგორ შეიცვალნენ ერთი შეხედვით წყნარი და ჩუმი გოგონები, როგორი ლიდერული თვისებები შეიძინეს, როგორ კეთილ გავლენას ახდენენ თანატოლებზე...

კოკში წელს შეიქმნა ახალგაზრდული კლუბი. მასში ის გოგონები და ბიჭები გაერთიანდნენ, რომლებიც მანამდეც ესწრებოდნენ ფონდი „სოხუმის“ შეხვედრებს... აქაური კლუბი ძალიან აქტიურია, ახალგაზრდები არა მხოლოდ ისმენენ ინფორმაციებს, არამედ საკუთარ ინიციატივებსაც ავლენენ და ინფორმაციებს მიმდებარე სოფლებშიც ავრცელებენ.

„არასამთავრობო ორგანიზაციებთან მუშაობა ძალიან მიყვარს, რადგან შემეცნებითი თვალსაზრისით კარგ საზრდოს ვიღებთ,“ - ამბობს თინათინ ბუაძე.

ანა გაბუნიას აზრით, როცა ინფორმირებული ხარ, შენ უკვე იმდენად ძლიერდები, რომ თავისუფლად შეგიძლია სხვებსაც დაეხმარო, რადგან დარწმუნებული ხარ, რასაც აკეთებ, სწორად აკეთებ.

ანასტასია თოდუას შეუძლია პრაქტიკული ნაბიჯები გადადგას - მაგალითად, კონფლიქტების მოსაგვარებლად, რადგან კარგად ესმის, ასეთ დროს რჩევის მიცემას თავისი ფორმა უნდა ჰქონდეს, მას დიდაქტიკური ტონი არ უნდა გასდევდეს.

ხურჩის ქალთა მხარდაჭერის ცენტრი აქტიურად თანამშრომლობს სოფლის ხელისუფლებასთან. მობილიზატორები ესწრებიან ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებს, ეცნობიან ადგილობრივ პროგრამებს, სოფელში ყველა ოჯახის პრობლემა იციან და არაერთ ბენეფიციარს მიუღია სახელმწიფო მხარდაჭერა მათი მხრიდან ინფორმირების შემდეგ.

განსაკუთრებით მასშტაბური გამოუვიდათ 25 ნოემბრის აქცია ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ. ხურჩაში ან კოკში კი არა, ზუგდიდის ცენტრში გამართეს - 80-მდე ადამიანი შეიკრიბა, პირველ რიგში ხურჩელი და კოკელი ქალბატონები და მათ გარდა - მოსწავლეები, სტუდენტები, სკოლის დირექტორები, ადგილობრივი თვითმმართველობის და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ჟურნალისტები. ეს მათი შრომის, აქტიური თანამშრომლობის და იმიჯის დასტურია...

ახლა ხურჩა/კოკის ქალთა მხარდაჭერის ცენტრი მთელი წლის მუშაობას აჯამებს. მოგვარებული პრობლემების პარალელურად, სტატისტიკაში მოუგვარებელი საკითხებიც ჩნდება, რაც იმას ნიშნავს, რომ მომავალ წელს მუშაობა უფრო აქტიურად უნდა გაგრძელდეს.

ხათუნა გოგუა

წყალტუბოს ქალთა მხარდაჭერის ცენტრი

მშვიდობის დღე სკოლაში

მობილიზატორები
ზაირა კოპალიანი
ელენე ბენიძე

ფსიქოლოგი
თამარ კალანდაძე

იურისტი
ბელა ბერაძე

ცოტა რამ ცენტრის შესახებ

წყალტუბოს ქალთა მხარდაჭერის ცენტრი არსებობის 6 წელს ითვლის. შედეგები საკმაოდ მკაფიოდ ჩანს: ქალები და გოგონები გახდნენ აქტიურები, ინფორმირებულები, შეუძლიათ სხვადასხვა აქტივობის ინიცირება და ჩატარება, იცავენ არა მარტო თავიანთ უფლებებს, არამედ ცდილობენ დაიცვან სხვების უფლებებიც, ადვოკატირებას უკეთებენ საყოფაცხოვრებო და სოციალური პრობლემების მოგვარებას.

ოთხი წელი ქალთა მხარდაჭერის ცენტრი არსებობდა დევნილთა კოლექტიურ ჩასახლებაში, სანატორიუმ „მედეაში“. მიუხედავად იმისა, რომ არ იყო შესაბამისი საოფისე გარემო (კოლექტიური ცენტრის შენობა ამორტიზებულია), ფონდი „სოხუმი“ ცდილობდა მის შენარჩუნებას, რათა მეტი კონტაქტი ჰქონოდა ძირითად ბენეფიციარებთან - დევნილებთან.

2013 წლიდან ქალთა მხარდაჭერის ცენტრმა ბინა დაიდო დევნილთა ახალ დასახლებაში, მისამართზე - 9 აპრილის ქუჩა 3 / 17.

ახალ ოფისში გადასვლით მოხდა ახალი ბენეფიციარების მობილიზება - აღნიშნულ დასახლებაში არიან დევნილები, რომლებიც ადრე წყალტუბოს სხვადასხვა კოლექტიურ ცენტრში ცხოვრობდნენ... ცენტრმა შემოიკრიბა ადგილობრივი მოსახლეობაც.

ქალთა მხარდაჭერის ცენტრი - ეს არის ადგილი, სადაც ქალებს აქვთ საშუალება, ისაუბრონ თავიანთ პრობლემებზე სპეციალისტებთან - მიიღონ შესაბამისი კონსულტაციები იურისტისგან და ფსიქოლოგისგან, დაესწრონ სხვადასხვა თემაზე ჩატარებულ ვორკშოპებს და საინფორმაციო შეხვედრებს, კულინარიული მასტერ კლასების დროს თავიანთი გამოცდილება გაუზიარონ სხვა ქალბატონებს, მიიღონ ინფორმაციები და გაიარონ კონსულტაციები რეპროდუქტოლოგ-გინეკოლოგთან.

ახალგაზრდებიც აქტიურად არიან ჩართულნი ქალთა მხარდაჭერის ცენტრში - შეიქმნა ახალგაზრდული კლუბი, ტარდება შეხვედრები და ვორკშოპები სხვადასხვა თემაზე, ხდება სხვადასხვა ღონისძიების ინიცირება.

ქალთა მხარდაჭერის ცენტრში უხარიათ ერთმანეთის ბედნიერება და წარმატებები - 2015 წელს მობილიზატორი ნადეჟდა (ნანა) კოპალიანი გაბედნიერდა, შექმნა ოჯახი და, თუმცა საცხოვრებლად თბილისში გადავიდა, მუდმივად ადევნებს თვალ-ყურს ქალთა მხარდაჭერის ცენტრში მიმდინარე სიახლეებს, ეცნობა ფეისბუქზე გაზიარებულ ინფორმაციებს და 16 აქტიური დღის კამპანიის ფარგლებში ჩატარებულ აქციაზეც კი შეუერთდა თანაქალაქელებს!

ერთმანეთის ტკივილსაც იზიარებენ - ზაირა კოპალიანის მამის გარდაცვალებიდან რამდენიმე დღეში აქცია იყო დაგეგმილი ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ, ქალები გვერდით დაუდგნენ... ზაირამ შეძლო აქციის ორგანიზება და ქალების საკმაოდ დიდი ჯგუფის მობილიზება...

სულ რამდენიმე თვეა, რაც ცენტრს ახალი მობილიზატორი ჰყავს. ის იყო ქალთა მხარდაჭერის ცენტრის აქტივისტი მისი შექმნის დღიდან - ელენე ბენიძე. მისი ორი შვილი გაიზარდა წყალტუბოს ცენტრში ☺ - ისინი დედას ახლდნენ თითქმის ყველა ღონისძიებაზე.

ქალთა მხარდაჭერის ცენტრს იცნობენ წყალტუბოში არა მარტო ბენეფიციარები, არამედ: ადგილობრივ თვითმმართველობაში, ადგილობრივი გაზეთის რედაქციაში, პოლიციაში, სოციალური მომსახურების სააგენტოში, სკოლებში, ბაღებში, სოფლებში, ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებში...

ეს ნაცნობობა თანამშრომლობითაა გამყარებული და ბევრ სასიკეთო ცვლილებას იძლევა.

ერთი მაგალითი: ერთ-ერთ კოლექტიურ ცენტრში მცხოვრები სოციალურად დაუცველი, მრავალშვილიანი ოჯახი დიდი ფინანსური პრობლემების წინაშე დადგა. დედამ დახმარებისათვის მიმართა ქალთა მხარდაჭერის ცენტრს. მობილიზატორები წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლებს შეხვდნენ და შეძლეს ოჯახის პრობლემის მოგვარება - ორი შვილის დასაქმება. ამან საგრძნობლად გამოაკეთა ოჯახის მდგომარეობა.

რაც უკვე გაკეთდა

- უფასო იურიდიული კონსულტაციების შედეგად სოციალურად დაუცველ და დევნილ მოსახლეობას მიეცა პრობლემების მოგვარების შესაძლებლობა, მომზადდა შესაბამისი დოკუმენტები.

- უფასო ფსიქოლოგიური კონსულტაციების მეშვეობით სოციალურად დაუცველმა და დევნილმა ქალბატონებმა ისწავლეს საკუთარი თავის მართვა კონფლიქტურ სიტუაციებში, ემოციების კონტროლი, გამოუსწორდათ ურთიერთობები ოჯახის წევრებთან, კოლეგებთან, აუმაღლდათ თვითშეფასება და მოემატათ თავდაჯერებულობა.

- საინფორმაციო მუშაობით ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ეცნობიან წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებულ სიტუაციას. რამდენიმე შემთხვევაში მათ კონფლიქტურ ოჯახებს ურჩიეს, კონსულტაცია მიეღოთ ქალთა მხარდაჭერის ცენტრში.

- განსაკუთრებით გააქტიურდნენ დევნილი და ადგილობრივი ახალგაზრდები - შეიცვალა მათი დამოკიდებულება ძალადობის პრობლემის მიმართ, ისინი თავად ატარებენ საინფორმაციო შეხვედრებს ამ თემაზე თანატოლებთან, რაც ხელს უწყობს არაძალადობრივი საზოგადოების ფორმირებას.

- ცენტრის მიერ ხდება სხვადასხვა ღონისძიების ინიცირება: აქტივობები კამპანიაში „16 აქტიური დღე ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ“, მშვიდობის საერთაშორისო დღე, ქალთა სოლიდარობის დღე, ახალგაზრდების საერთაშორისო დღე, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე, სოფლად მცხოვრებ ქალთა საერთაშორისო დღე...

სამობილიზაციო შეხვედრაზე

- საკრებულოს სხდომაზე დასწრების შედეგად ქალბატონებს მიეწოდებათ ინფორმაცია არსებული სოციალური პროგრამების, სხვადასხვა ერთჯერადი დახმარების შესახებ, შესაბამისად, ხდება ამ პროგრამებისთვის ბენეფიცარების მოძიება, ინფორმაციის მიწოდება და დახმარება განცხადების თუ დოკუმენტის მომზადებაში.

- ადვოკატირების ჯგუფი სწავლობს პრობლემებს (მაგ. ოჯახისთვის სოციალურად დაუცველის სტატუსის მოხსნა და აღდგენა, დევნილი ოჯახის განსახლების პრობლემის მოგვარება, დასაქმებაში ხელშეწყობა...) და ახდენს სხვადასხვა ინსტანციის მობილიზებას მათი მოგვარებისათვის.

- 2015 წლიდან ქალთა მხარდაჭერის ცენტრმა გააფართოვა არეალი და დაიწყო მუშაობა ორ სოფელში - ქვილიშორში და თერნალში - ეს არის პირველი შემთხვევა, როცა არასამთავრობო ორგანიზაცია დაინტერესდა აქ მცხოვრები ქალების ყოფით და დაიწყო ზრუნვა მათი ფსიქოლოგიური თუ სამართლებრივი პრობლემების მოგვარებაზე. ტარდება სხვადასხვა საინფორმაციო შეხვედრა და ვორკშოპი, ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციები...

რას არის ქალთა მხარდაჭერის ცენტრი ქალებისთვის?

- ქალთა მხარდაჭერის ცენტრი არის ქალების საყვარელი ადგილი.

- ცენტრი იურიდიულ კონსულტაციას უწევს სოციალურად დაუცველ, დევნილ და ძალადობის მსხვერპლ ქალბატონებს და გოგონებს.

- ოჯახებში ჯანსაღი ფსიქო-სოციალური კლიმატის შექმნას ემსახურება ფსიქოლოგის ყოველთვიური შეხვედრები.

- აქტიურად ხდება ქალაქში არსებული პრობლემების ადვოკატირება.

- ცენტრი ინფორმაციის წყაროა - აქ არის მცირე ბიბლიოთეკა (პუბლიკაციები გენდერულ თუ სოციალურ თემაზე) და, ამასთან ერთად, ცენტრის მობილიზატორები, იურისტი, ფსიქოლოგი და ასისტენტები მათთვის საინტერესო უახლეს და აქტუალურ ინფორმაციას აცნობენ ბენეფიციარებს.

- ცენტრი მიმართულებას აძლევს ქალებს თავიანთი კონკრეტული პრობლემების მოგვარებაში.

- და ბოლოს, ის ამართლებს თავის სახელს - არის მხარდაჭერის ცენტრი, რომლის მთავარი მიზანია, გაუმჯობესდეს ქალების ცხოვრება, მათი ოჯახების ყოველდღიურობა.

თეა გოლეთიანი

ფოთის ქალთა მხარდაჭერის ცენტრი

იურისტის კონსულტაციაზე

მობილიზატორები
ნელი უნგიაძე
ციალა გულედანი

ფსიქოლოგი
თამარ კალანდაძე

იურისტი
თინათინ ხიზანიშვილი

„მერი გ-ს ბანკთან პრობლემები ჰქონდა, იურისტისგან კონსულტაცია ითხოვა. როგორც გაირკვა, კრედიტი აიღო ბანკიდან. რამდენიმე წელი იხდიდა, მაგრამ ბოლო პერიოდში ბიზნესში საქმე გაუფუჭდა და პრობლემებიც აქედან დაიწყო: ბანკში თანხის დაფარვა ვერ მოახერხა. შემდეგ ჰქონდა სასამართლო პროცესი, დაუდგინეს გადახდის გრაფიკი, მაგრამ ისიც ვერ გადაიხადა. მოუვიდა ბარათი, სადაც ატყობინებდნენ, რომ მისი სახლი აუქციონის წესით გაიყიდებოდა. ქალბატონს განემარტა, რომ უკვე დამტკიცდა კანონი, რომლის თანახმადაც სახლების აუქციონის წესით გაყიდვა აიკრძალა. მას აქვს უფლება, მივიდეს ბანკში, პრობლემური სესხების განყოფილებაში, თავიდან მოითხოვოს გრაფიკი, რის საშუალებითაც შეძლებს სესხის დაფარვას.“

„კონსულტაციისთვის მოვიდა ახალგაზრდა ცოლ-ქმარი. ქმარი ჩაწერილია დედასთან და ძმებთან, ცოლი - თავის მშობლებთან. ფაქტობრივად არა აქვთ საცხოვრებელი ბინა. იურისტის კონსულტაციის შემდეგ ცოლ-ქმარი გადავიდა ნაქირავებ ბინაში. შეიტანეს განცხადება სოციალური დახმარების მიღებაზე. შეავსეს აპლიკაცია. ახლა ელოდებიან ბინას, რადგან სოციალურად დაუცველთა სიაში მოხვდნენ და მაღალი ქულების შესაბამისად საცხოვრებელი ფართი ეკუთვნით.“

„ერთ-ერთი ბენეფიციარი დროებით სამუშაოდ საზღვარგარეთ აპირებს გამგზავრებას და სურს ბინის გაქირავება, მაგრამ წინა მდგმურებთან ფულის გადახდის გამო პრობლემები შეექმნა, ამიტომ არავის ენდობა და სურს, სამართლებრივად გარანტირებულად მოაგვაროს ეს საკითხი. იურისტმა განუმარტა, რომ ამ შემთხვევაში ყველაზე კარგი ვარიანტია ქირავნობის ხელშეკრულების ნოტარიულად გაფორმება, სადაც ჩამოთვლილი იქნება მფლობელისა და დამქირავებლის უფლება-მოვალეობები, ქირის შეწყვეტის და გადახდის პირობები. განემარტა ისიც, რომ მას მოუწევდა ქირით შემოსული შემოსავლის 5%-ს სახელმწიფოსთვის გადახდა. მიღებული კონსულტაცია ბენეფიციარმა გამოიყენა და საკუთარი პრობლემაც გადაწყვიტა.“

ეს ფოთის ქალთა მხარდაჭერის ცენტრის იურისტის თიკო ხიზანიშვილის ანგარიშებიდან ამოღებული ქეისებია. მსგავსი მაგალითი ბევრია. იურისტი მიიჩნევს, რომ მომართვიანობა გაიზარდა, რასაც შემდეგნაირად ხსნის: უკვე ცნობილი გახდა მოსახლეობისთვის, რომ ახალ რაიონში არსებობს ქალთა მხარდაჭერის ცენტრი, სადაც შეუძლიათ უფასო იურიდიული კონსულტაციის მიღება. გვაკითხავენ არა მხოლოდ ახალ რაიონში მცხოვრები დევნილები, არამედ მოდიან ქალაქის სხვადასხვა უბნიდან. საკითხი სხვადასხვაა: ზოგს ბინის მიღება სურს, ზოგს კრედიტებთან დაკავშირებული პრობლემები აქვს. იყო განქორწინებასთან და ალიმენტის დანიშვნასთან დაკავშირებული შემთხვევა. სასამართლო პროცესი გაიწელა იმ მიზეზით, რომ წარმოდგენილი დოკუმენტები არ იყო სრულყოფილი. ჩავრეულვართ და ჩვენი რეკომენდაციით ქალბატონს საჭირო საბუთები მოუმზადებია. შედეგად - სასამართლოს გადაწყვეტილებით, ბავშვი ყოველთვიურად იღებს ალიმენტს.

როგორც ცენტრის იურისტი ამბობს, მისი ფუნქცია მხოლოდ კონსულტაციების გაცემა არ არის. შემდგომ ეტაპზე მონიტორინგს აწარმოებენ, ბენეფიციარმა რამდენად კარგად გამოიყენა მიღებული ინფორმაცია და ხომ არ სჭირდება რაიმე სახის მხარდაჭერა.

ქალებისთვის სასარგებლო და საჭიროა ფსიქოლოგის დახმარებაც. თამარ კალანდაძე თვეში ერთხელ ჩადის ცენტრში და ატარებს შეხვედრებს.

ქალები აღნიშნავენ, რომ განხილული საკითხებიდან ყველა აქტუალური და საჭიროა. მაგალითად, ქალები მუშაობდნენ პრობლემის გადაჭრასა და გადაწყვეტილების მიღების ფსიქოლოგიაზე. რთულ პრობლემათა გადაჭრისა და გადაწყვეტილების მიღების ეტაპების მექანიზმების გაცნობა ბევრ მათგანს დაეხმარა, რომ არ გაექცეს პასუხისმგებლობას და დამოუკიდებლად შეძლოს პრობლემის მოგვარება.

ფოთის ქალთა მხარდაჭერის ცენტრი დევნილთა ახალ დასახლებაში მდებარეობს. ციალა გულედანი და ნელი უნგიაძე, რამდენიმე წელია, ცენტრს ხელმძღვანელობენ. ნელი მესამე შვილზე ფეხმძიმედ იყო და მუშაობაში მცირე „პაუზა“ ჰქონდა, ერთ წელიწადში კი ისევ დაუბრუნდა საქმეს.

ახალ რაიონში, სადაც, ძირითადად, დევნილები ცხოვრობენ, ქალთა ძალადობის პრობლემა ძალიან მწვავეა. ოჯახური კონფლიქტების ფაქტებიც ხშირია, მაგრამ მსხვერპლთან მუშაობისას ჯერ კიდევ არის პრობლემები. მობილიზატორები თითქმის მთელ დასახლებას იცნობენ. ძალადობის ფაქტებზე მაშინვე რეაგირებას ახდენენ. იმ ოჯახებში, სადაც ასეთი ფაქტები ხდება, მიდიან და მსხვერპლთან საუბრობენ, იწვევენ ქალთა მხარდაჭერის ცენტრში, რათა დაესწრონ ფსიქოლოგის კონსულტაციებს. ძირითადი ნაწილი მათთან თანამშრომლობას აგრძელებს, შეხვედრებსაც ესწრებიან. მაგრამ არიან ისეთი ქალებიც, რომლებიც საკუთარ პრობლემას არ ასაჯაროებენ, არ უნდათ არაფრის შეცვლა.

მობილიზატორს ის ქალბატონებიც ეხმარებიან, რომლებიც ცენტრის ძირითად ბირთვს წარმოადგენენ. ყოველი შეხვედრის ბოლოს რომ კითხულობენ, იმ თვეში როდის ვიკრიბებით, ან რა შეიძლება გავაკეთოთო. სოციალური პრობლემები ხშირად ხდება მოსახლეობასთან თანამშრომლობის საფუძველი. ასე ჩნდება მობილიზატორების ანგარიშებში ადვოკატირებული და მოგვარებული პრობლემები:

მაგალითად, ქალთა მხარდაჭერის ცენტრი დაეხმარა აზერბაიჯანის მოქალაქეებს. ოჯახი საცხოვრებლად ფოთში გადმოვიდა. შვილი პირველ კლასში უნდა წასულიყო. არ იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ. მობილიზატორების დახმარებით მოეწყო შეხვედრა რესურს-ცენტრის ხელმძღვანელთან. მისი ხელშეწყობით მოაწესრიგეს ყველა საჭირო დოკუმენტი და ბავშვი იმ სკოლაში შევიდა, რომელიც მის საცხოვრებელთან ახლოს მდებარეობს.

მეორე მაგალითი: ქალთა მხარდაჭერის ცენტრის მობილიზატორებს დახმარებისათვის მიმართეს ახალ რაიონში მცხოვრებმა ქალებმა. ერთ-ერთ ბინაში გაიჭედა საკანალიზაციო მილი და მთელ საცხოვრებელ სახლში შეიქმნა პრობლემა. მობილიზატორები დაუკავშირდნენ ფოთის მერიის სამსახურებს, რომლებმაც გადაამისამართეს მალთაყვის მუნიციპალიტეტში. რეაგირება იმ დღესვე მოხდა. მუნიციპალიტეტიდან მოვიდა სპეციალური ბრიგადა, რომელმაც გაწმინდა საკანალიზაციო სისტემა და პრობლემაც გადაიჭრა.

კიდევ ერთი: ფოთის ქალთა მხარდაჭერის ცენტრის ლიდერთა ინიციატივით შეგროვდა ტანსაცმელი და გაეგზავნა ივნისში თბილისში მომხდარი წყალდიდობის დროს დაზარალებულებს.

შეხვედრა ფსიქოლოგთან

მოგვარებული ქეისების და გაკეთებული საქმეების გვერდით არის მოუგვარებელი, ან ნაწილობრივ მოგვარებული პრობლემები. თუმცა, ნებისმიერი საქმის უკან აქტივობაა, მუშაობაა, მცდელობა, რომელიც საბოლოოდ გამოცდილებას იძლევა.

ახალგაზრდული ფრთა ფოთში საკმაოდ აქტიურია. სკოლებთან თანამშრომლობამ გარკვეული შედეგები გამოიღო. ქალთა ძალადობის თემას სკოლებშიც განიხილავენ. მაგალითად, ფოთის ახალგაზრდული კლუბის ინიციატივით ერთ-ერთი საინფორმაციო შეხვედრა მიეძღვნა აქტუალურ თემას „ნაადრევი ქორწინება და მისი ნეგატიური შედეგები“. შეხვედრებს ხშირად ესწრებიან პედაგოგებიც, რომლებიც ცდილობენ, დისკუსიის და დებატების ჩატარების უნარ-ჩვევები საკუთარ სკოლებში დანერგონ.

ახალგაზრდები არა მხოლოდ ისმენენ ინფორმაციებს, პრობლემების მოსაგვარებლად აქტივობებსაც გეგმავენ.

კონფლიქტოლოგიის მორიგ ვორკშოპზე განსაკუთრებული რამ მოხდა. ვორკშოპზე ოჯახური კონფლიქტების მართვა განიხილება. დისკუსია კონკრეტული მაგალითების ანალიზით მიმდინარეობს:

„ჩვენს მეზობლად ცხოვრობს ოჯახი, დედა თურქეთში დადის სამუშაოდ, რომ ოჯახს მიხედოს. მამა ხშირად სვამს, სახლში მეგობრები მოყავს და შუაღამემდე ქეიფობენ. ბავშვები ვერც მეცადინეობას და ვერც ჭამას ვერ ახერხებენ. მამა ნახევრად მძინარე ბავშვებს წამოყრის ფეხზე და უმიზეზოდ უყვირის. ხშირად ისმის ბავშვების ტირილი, ყვირილი. მეორე დღეს, მეზობლების საყვედურებზე, ბოდიშებს იხდის. ამბობს, რომ არაფერი ახსოვს და აწი მსგავსი რამ არ განმეორდება. ცოლმა ყველაფერი იცის, მაგრამ ვერაფერს უხერხებს. კაცი დარწმუნებულია, რომ ვერავინ ვერაფერს გაუბედავს“.

იქვე, ვორკშოპზე, ახალგაზრდები პრობლემის მოგვარების გეგმას სახავენ. ასე ჩნდება მათ მიერ მოგვარებული ქეისიც:

„ვორკშოპის მონაწილეები მიდიან და ესაუბრებიან ოჯახის მამას. უხსნიან, რომ ის მოძალადეა და უფლებას არ მისცემენ. თუ ასე გააგრძელებს, სამართალდამცავებს გადასცემენ. პირველი მცდელობა ცუდად მთავრდება. მამაკაცი საპასუხოდ ყველას ემუქრება და ყვირილით ამცნობს, რომ არავის აქვს მისი ოჯახის საქმეებში ჩარევის უფლება. ახალგაზრდებს მეზობლები უდგანან გვერდით, იძახებენ პატრულს. პირველი გამოძახება ხელწერილით მთავრდება. უბნის რწმუნებული უხსნის მას, რომ განმეორების შემთხვევაში დააკავებენ და პასუხს აგებს. სიტუაცია გამოსწორდა. მამაკაცი იშვიათად სვამს და ოჯახიდან მაღალი ხმაც უკვე აღარ ისმის“.

ქალთა მხარდაჭერის ცენტრი განსაკუთრებით აქტიურია ძალადობის კამპანიის პერიოდში. აქტივისტები ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი ადამიანის მობილიზება შეძლონ, საზოგადოებამ სოლიდარობა გამოხატოს ქალთა ძალადობის წინააღმდეგ, რომ ადრიდანვე მოხდეს პრევენციული ღონისძიებების ჩატარება და მეტი მხარდაჭერა იგრძნოს მსხვერპლმა.

ხათუნა გოგუა

ხონის ქალთა მხარდაჭერის ცენტრი

სამობილიზაციო შეხვედრა

მობილიზატორები
ილონა ნაჭყებია
მაია მანდარია

ფსიქოლოგი
თამარ კალანდაძე

იურისტი
თამარ გოგოხია

წლების მანძილზე ცენტრი მეოთხე საჯარო სკოლაში იყო - 4 თვეა, სამხედრო დასახლების დევნილთა კოლექტიურ ცენტრში გადმოვიდა. ამას თავისი ლოგიკური ახსნა აქვს - ბენეფიციართა ძირითადი ნაწილი დევნილია.

ცენტრს ორი მობილიზატორი ჰყავს - ილონა ნაჭყებია და მაია მანდარია. აქ კოხტად მოწყობილი ორი ოთახია შეხვედრებისთვის და სამზარეულო, სადაც ქალები შინაურულად ყავას მიირთმევენ.

შეხვედრები - ეს არის მთავარი, რაც ცენტრში ტარდება. ყველა შეხვედრას თავისი გრაფიკი აქვს და თავისი მონაწილეები ჰყავს.

სამობილიზაციო შეხვედრები - თვეში რაოდენობით ყველაზე მეტია. ცენტრის ორი მობილიზატორი სამ-სამ შეხვედრას ატარებს - დასახლების კოლექტიური ცენტრის სხვადასხვა კორპუსში. თემები სხვადასხვაა, მაგრამ ძირითადად - ძალადობას და მის პრევენციულ მექანიზმებს ეხება.

წელს სოფლებშიც დაიწყეს შეხვედრების გამართვა. ჯერ მხოლოდ რამდენიმე სოფელში გაიცნეს ფონდი „სოხუმი“ - გასულ წლებში ახალგაზრდები ატარებდნენ აქტივობებს მათხოჯსა და ნახახულევში, ახლა კი პერიოდულად იმართება შეხვედრები ივანდიდში, გოჩა ჯიხაიშში, ქარჩხაპსა და კუხში. გოჩა ჯიხაიშში პირველად ჩატარებულმა შეხვედრამ არა მარტო ქალების, მამაკაცების დიდი ინტერესიც გამოიწვია - 16 მონაწილიდან 8 მამაკაცი ესწრებოდა. სამობილიზაციო შეხვედრებზე მონაწილეები ეცნობიან ქალთა მხარდაჭერის ცენტრის მუშაობის სპეციფიკას. განსაკუთრებით აინტერესებთ, თვითონ რა სარგებელი შეიძლება ნახონ და როგორ გამოიყენებენ ცენტრის სერვისებს. სწორედ ამ შეხვედრების მონაწილეები მიდიან შემდგომ საკონსულტაციო და სხვა სახის შეხვედრებზე და ქმნიან ცენტრის ბენეფიციართა ძირითად ბირთვს. ზოგჯერ კი მათთან მოდიან ცენტრის ფსიქოლოგი და იურისტი.

საკონსულტაციო შეხვედრები - ცენტრში თვეში ერთხელ იმართება ფსიქოლოგისა და იურისტის კონსულტაციები. თამარ კალანდაძე ცენტრის ფსიქოლოგია. მის მოსვლას ინტერესით ელოდებიან ქალები და გოგონები. იციან, ისეთი საუბარი გაიმართება, გულისგულში რომ მოხვდებათ და აუცილებლად რაღაცას შეცვლის მათ ყოველდღიურობაში... ამიტომაც მსჯელობენ გულახდილად ტრადიციული კულტურის კავშირზე ქალის ფსიქო-სექსუალურ ჯანმრთელობასთან თუ ოჯახში ძალადობის ნეგატიურ გავლენაზე ბავშვებზე.

განსაკუთრებით საინტერესო დისკუსია გაიმართა, როცა თვითშეფასებაზე საუბრობდნენ და ტესტების მეშვეობით გაარკვიეს, რომ ბევრ მათგანს დაბალი თვითშეფასება აქვს. ფსიქოლოგის თქმით, თუ ადამიანის თვითშეფასება დაქვეითებულია - ეს სერიოზული დაბრკოლებაა თვითრეალიზების, მიზნების მიღწევის, სრულფასოვანი ცხოვრების გზაზე...

წლის განმავლობაში, სხვადასხვა მიზეზის გამო, ცენტრმა სამი იურისტი გამოიცვალა, დასაწყისში სოფო გრძელიშვილი იყო, მერე - ია კვარაცხელია. ორიოდ თვეა, ხონის ცენტრში ჩადის ფონდის ახალგაზრდა იურისტი თამარ გოგოხია და ატარებს ჯგუფურ თუ ინდივიდუალურ შეხვედრებს. ამ დღეს ქალებს შესაძლებლობა აქვთ, თავიანთი პრობლემების შესახებ უამბონ, კონსულტაცია მიიღონ, განცხადება დაწერონ და საქმის მოგვარებაც დაიწყონ.

ამ შეხვედრების შემდეგ ბევრი პრობლემა იკვეთება და ჩნდება გამოსავალიც. სპეციალისტები ურჩევენ, როგორ მოაგვარონ, როგორ გადალახონ ის ბარიერები, რომლებიც აბრკოლებენ ქალებს უკეთესი ცხოვრების მიღწევაში...

ფსიქოლოგისა და იურისტის დახმარებით არაერთი საქმე მოგვარებულა: მაგალითად, დარეგულირდა არასრულწლოვნებს შორის კონფლიქტური ურთიერთობა. რამდენიმე ფსიქოლოგიური კონსულტაციის შემდეგ ქალბატონმა გადაწყვიტა თავისი ცხოვრების შეცვლა, იურისტი კი დაეხმარა განქორწინების საბუთების მოგვარებაში. შეხვედრების ერთმა მონაწილემ გადაჭრა დავა მეზობელთან.

ქალთა მხარდაჭერის ცენტრს დახმარებისათვის მიმართა ქალბატონმა. მისი შვილი ცერებრალური დამბლით არის ავად. ის ვერ იღებს პენსიას, რადგან არ იცის, ვის მიმართოს. იურისტის დახმარებით შეგროვდა ყველა საჭირო დოკუმენტი. ამჯერად პასუხს ელოდებიან. მობილიზატორები ამ შემთხვევას მონიტორინგს გაუწევენ მის დასრულებამდე.

საგანმანათლებლო შეხვედრები - ეს არის ვორკშოპები, რომელთაც პერიოდულად ატარებს პროექტის ასისტენტი ხათუნა გოგუა ხან ახალგაზრდებთან, ხანაც - ქალებთან.

რამდენად იცნობენ საკუთარ თავს, რა იციან შინაგან, პიროვნულ კონფლიქტებზე, რა გავლენას ახდენს ნეგატიური ემოციები ან პიროვნული ღირებულებები და მენტალიტეტი ოჯახური კონფლიქტების დინამიკაზე - ამ საკითხებზე მსჯელობა საინტერესოა ქალთა და ახალგაზრდათა ჯგუფებისთვის. ისინი დისკუსიების შედეგად იმ დასკვნამდე მიდიან, რომ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და, აქედან გამომდინარე, კონფლიქტურ სიტუაციებში სხვადასხვანაირად იქცევიან. ამიტომაც დაემატა პროექტს ეს ვორკშოპული ნაწილი, რომ შესაძლებელი გახდეს ოჯახებში კონფლიქტების მართვა და ძალადობის რისკის შემცირება.

ახალგაზრდული შეხვედრები - თვეში ერთხელ ტარდება ახალგაზრდული კლუბის საინფორმაციო შეხვედრა. ისევე, როგორც სხვა ცენტრებში, აქაც თემა ყოველთვის სხვადასხვაა და ერთნაირად საინტერესო: ოჯახში ძალადობა, როგორც საზოგადოების პრობლემა. გენდერული თანასწორობის პრინციპები. ტრეფიკინგი და მისგან დამცავი მექანიზმები. ეთიკის, ესთეტიკის, სქესობრივი აღზრდისა და ნაადრევი ქორწინების პრობლემები. ვერბალური და არავერბალური კომუნიკაცია. გენდერული პოლიტიკის ადვოკატირება და მისი მნიშვნელობა ძალადობის პრევენციის საკითხებში.

აქტიური, გულახდილი დისკუსიით იხილავენ გოგონები და ბიჭები ამ თემებს, ეძებენ პრობლემების მოგვარების გზებს. როგორც პროექტის ასისტენტი ნინო ჭაბუკიანი აღნიშნავს, ბევრი მათგანი სხვანაირი გახდა, შეეცვალა დამოკიდებულება სხვადასხვა საკითხის მიმართ, უფრო თავისუფლად აზროვნებს, თამამად გამოთქვამს თავის მოსაზრებას და სხვის აზრსაც პატივს სცემს, თუნდაც არ ეთანხმებოდეს...

ფონდი „სოხუმის“ ფორუმ-თეატრთან დაკავშირებული შეხვედრებიც ახალგაზრდული შეხვედრებია, რადგან მსახიობებიც ახალგაზრდები არიან და მაყურებელთა უმეტესობაც. შეხვედრებს ყოველთვის დიდი ინტერესი ახლავს. მაგალითად, აქტიური დისკუსია მოყვა დევნილთა კოლექტიური ცენტრის კლუბში გამართულ წარმოდგენებს. განსაკუთრებული ემოციებით განიხილეს შეყვარებული წყვილის და დედა-შვილის დრამატული მინი-ისტორიები. მაყურებლის აზრით, ეს სცენები რეალობას ასახავს, ბევრ რამეზე აფიქრებს ადამიანს და ბევრ რამესაც ცვლის მის ქცევაში. ერთი კურიოზიც მოხდა. ხონის ცენტრალურ პარკში, როცა ფორუმ-თეატრი ძალადობის სცენას წარმოადგენდა, გამვლელმა ქალმა ყვირილი დაიწყო. რეჟისორმა აუხსნა, რომ ეს თამაშია...

მსგავსი ფაქტი ხშირად ხდება, როცა ფორუმ-თეატრი ქუჩაში მართავს წარმოდგენებს. ეს იმის ნიშანია, რომ მოქალაქეები უკვე არ არიან გულგრილები ძალადობის მიმართ და ჩარევას იწყებენ...

საინფორმაციო შეხვედრებიდან - მასშტაბურ შეხვედრებამდე

ცენტრის მობილიზატორთა მუშაობის ეს ბლოკი უდავოდ განსაკუთრებულია. ისინი სისტემატურად ატარებენ საინფორმაციო შეხვედრებს ადგილობრივი თვითმმართველობისა და სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებთან. მობილიზატორები ეცნობიან საკრებულოს პროგრამებს და შემდგომ ამ ინფორმაციას ავრცელებენ. მაგალითად, მათ გაიგეს, რომ თირკმლის ქრონიკული დაავადებების, ლეიკემიის, ონკოლოგიური დაავადების მქონე პირთათვის არსებობს ერთჯერადი დახმარებები 100 ლარის ოდენობით. მიღებული ინფორმაციის შემდეგ ათამდე ბენეფიციარმა ისარგებლა ამ დახმარებით.

მობილიზატორები არიან ჩართულნი იმ აქტივობებში, რომლებიც მათ ქალაქში ხდება. 20-მდე აქტივისტმა მიიღო მონაწილეობა ხონის საკრებულოში გამართულ შეხვედრაში პაატა ზაქარეიშვილთან - სახელმწიფო მინისტრთან შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში. შეკითხვებიც დაუსვეს და პასუხებიც მიიღეს.

მუშაობა განსაკუთრებით მასშტაბური ხდება წლის ბოლოს, როცა ხონის ქალთა მხარდაჭერის ცენტრი უერთდება საერთაშორისო კამპანიას „16 აქტიური დღე ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ“. ამ დროს ადგილობრივი თვითმმართველობა ცენტრთან ერთად ერთვება ღონისძიებათა ციკლში.

მოვიყვან ნიუსს, რომელიც საკრებულოს ფეისბუქ-გვერდზე გაჩნდა:

„25 ნოემბრიდან 10 დეკემბრის ჩათვლით საერთაშორისო კამპანია „16 აქტიური დღე ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ“ დაიწყო. „ქალს უფლება აქვს იცხოვროს ძალადობის გარეშე“, „იგრძენი პასუხისმგებლობა, შეაჩერე ძალადობა“ - ამ ლოზუნგებით ხონის მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეები ფონდი „სოხუმის“ მიერ ინიცირებულ აქციას შეუერთდნენ და საზოგა-

ხონის ქალთა მხარდაჭერის ცენტრი

დოებას ძალადობის ყველანაირი ფორმისა და გამოვლინების დაგმობისკენ მოუწოდეს. აქცია მთელ მსოფლიოში ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საერთაშორისო დღეს უკავშირდება და საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლებას ისახავს მიზნად“.

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები დაესწრნენ კამპანიის ბოლო დღეს, 10 დეკემბერს ხონის საკრებულოში ჩატარებულ მრგვალ მაგიდას. მათ გარდა მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს სამართალდამცავებმა, სოციალურმა მუშაკებმა, პედაგოგებმა, ქალთა მხარდაჭერის ცენტრის აქტივისტებმა.

აღინიშნა, რომ ოჯახში ძალადობის პრობლემის აღკვეთისათვის აუცილებელია შესაბამისი ზომების მიღება: კანონის არსებული მექანიზმების დახვეწა, ცნობიერების ამაღლება, საზოგადოებრივი დისკუსიების სისტემატიური ხასიათი, სტრუქტურებს შორის მჭიდრო კომუნიკაცია და თანამშრომლობა.

შეხვედრაზე არაერთი საინტერესო მოსაზრება გაჟღერდა, რაც აისახა რეკომენდაციებში და წარედგინება შესაბამის სტრუქტურებს.

ცენტრის აქტივისტების ძალისხმევის შედეგად ასე იქცევა ხოლმე საინფორმაციო და საკონსულტაციო შეხვედრები მასშტაბურ შეხვედრებად, საქალაქო მასშტაბის ღონისძიებებად.

ორი ქალის ისტორიაც ამ შეხვედრებს უკავშირდება - კონსულტაციებს, ვორკშოპების გავლენას, თვითშეფასების ამაღლებას, ცენტრის აქტიურ თანამშრომლობას სახელმწიფო სტრუქტურებთან, დევნილთა და განსახლების სამსახურებთან...

მათ ყველა იცნობს ცენტრში, რადგან თითქმის ყველა შეხვედრას ესწრებიან.

ორივეს მოსწონს აქ გამართული შეხვედრები. იმიტომ რომ სჭირდებათ ფსიქოლოგის რჩევაც და იურისტის დახმარებაც... სწორედ მათი დახმარებით შეძლეს თავიანთი წლობით გაწელილი ოჯახური პრობლემების მოგვარება.

ერთმა განქორწინება გადაწყვიტა, რადგან ეს მის მდგომარეობაში საუკეთესო გამოსავალი იყო. გაუჭირდა დამოუკიდებელი ქალის ტვირთი, ამას შვილთან ურთიერთობის სირთულეც დაემატა. ჯანმრთელობაც გაუუარესდა. მძიმე ჩანთების ტარებისგან სახსრების პრობლემა აქვს. მაგრამ ნელ-ნელა უმკლავდება სტრესს, სიმშვიდე ეუფლება. ამიტომაც - ცდილობს, არ გააცდინოს არც ერთი შეხვედრა, რომელიც ცენტრში ტარდება. იცის, ამ შეხვედრებს განტვირთვა მოაქვს მასთან, პრობლემების გაზიარება, სასარგებლო რჩევები, უკეთესი მომავლის იმედი და ძალა.

მეორე ქალი ბავშვობიდან ძალადობის მსხვერპლი იყო. 18 წლისა ერთი ნახვის შემდეგ გაათხოვეს. ქმარი რთული ხასიათისა გამოდგა. განსაკუთრებით - სიმთვრალეში: ჩხუბობდა, ყველაფერს ამტვრევდა...

ზაფხულში, როგორც იქნა, გაბედა და გადაწყვიტა, შეეცვალა თავისი ცხოვრება. დასცილდა ქმარს. სოფლიდან დევნილთა კოლექტიურ ცენტრში გადმოვიდა ორ შვილთან ერთად - აქ მისცეს ბინა. ქალთა მხარდაჭერის ცენტრის დახმარებით ოჯახმა სოციალურად დაუცველის სტატუსი მიიღო.

ნოემბრის ერთ დღეს კი მის პატარა ბინას ბევრი სტუმარი ეწვია - ფონდი „სოხუმის“, ადგილობრივი თვითმმართველობის, ხონის დევნილთა საინიციატივო ჯგუფის და ორგანიზაცია „კარიტასის“ წარმომადგენლები. ოჯახს, რომელსაც ელემენტარული ნივთებიც კი არ გააჩნდა, გადაეცა ჭურჭელი, სურსათი, ტანსაცმელი.

ბავშვები ჩაერთნენ ფონდის ახალგაზრდულ აქტივობებში, ქალბატონი კი აგრძელებს დასწრებას ყველა სახის შეხვედრაზე. ჯერაც ბევრი რამ სჭირდება გასაძლიერებლად. თან სხვებს აძლევს მაგალითს, რომ ყველაზე რთული მდგომარეობიდანაც კი არის გამოსავალი. იღონდ მთავარია, შენ თვითონ გინდოდეს უკეთესობისკენ შეცვალო შენი ცხოვრება...

ლალი შენგელია

მრგვალი მაგიდა საკრებულოში

სენაკის ქალთა მხარდაჭერის ცენტრი

შეხვედრა საკრებულოში

მობილიზატორები
დინა გეორგაძე
ვერონიკა ქობალია

ფსიქოლოგი
მანანა გოცირიძე

იურისტი
მარიამ ხელაია

რატომ სტუმრობენ ქალები ქალთა მხარდაჭერის ცენტრს?

შედეგები, რომელიც მათ საქმიანობაში გამოჩნდა.

პრობლემები, რომლებიც დღემდე არსებობს.

ცვლილება, რომლის მიღწევას ცდილობენ.

ეს ის საკითხებია, რომლებიც სენაკის ქალთა მხარდაჭერის ცენტრის საქმიანობის წარმოსაჩენად შევარჩიეთ. შეკითხვის ადრესატები არიან ცენტრის მობილიზატორები, ბენეფიციარები, აქტივისტები საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფიდან და ის ადამიანები, რომლებსაც თუნდაც ერთჯერადად ჰქონიათ შეხება ქალთა მხარდაჭერის ცენტრთან.

რატომ სტუმრობენ ქალები ქალთა მხარდაჭერის ცენტრს

ფონდის ფსიქოლოგი მანანა გოცირიძე, რომელიც ყოველთვიურ საინფორმაციო შეხვედრებს ატარებს ქალებთან, ამბობს, რომ აქ ყველაზე კარგი გარემო იქმნება იმისთვის, რომ ერთმანეთს გული გადაუშალონ, რაც ძალიან სერიოზული მიზეზია.

ფსიქოლოგს საკუთარი პრაქტიკიდან ყველაზე მეტად ერთი შემთხვევა ახსენდება: ერთ-ერთი ქალბატონი რამდენიმე შეხვედრას ზედიზედ ესწრებოდა, დისკუსიაში თავისუფლად ერთვებოდა, კომენტარებს არ ერიდებოდა. თუმცა, საკუთარ თავზე არაფერს ამბობდა. ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიდა, რომ ის იყო დამოუკიდებელი, ძლიერი ქალი, რომელიც სამ შვილს მარტო ზრდიდა და ფინანსურად არანაირი პრობლემა არ ჰქონდა. მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ, როცა საკუთარი ისტორიის მოყოლა გადაწყვიტა, გაირკვა, რომ თავისი წარსულის მსხვერპლი იყო. მუდმივად იდანაშაულებდა თავს იმის გამო, რომ ვერ მოახერხა შვილებისთვის შეენარჩუნებინა მამა, რომელიც ოჯახში მუდმივად კონფლიქტურ სიტუაციას ქმნიდა. განქორწინების მერე მეუღლე მალე გარდაიცვალა. სწორედ აქედან გაუჩნდა დანაშაულის შეგრძნება, რომ ყველაფრის მიზეზი თვითონ იყო (ამას ეუბნებოდნენ საკუთარი და ყოფილი ქმრის ოჯახის წევრებიც). როცა ამბის მოყოლა დაასრულა, რამდენიმე წუთი დაძაბული იჯდა - შემოტევებს ელოდა. პირიქით, მან ჯგუფისგან მხარდაჭერა იგრძნო და აღიარა, რომ ერთ წუთში სხვა ადამიანად იქცა. მოიცილა ტვირთი, რომელიც მთელი ცხოვრება ამძიმებდა. საკუთარ თავს დაუმტკიცა, რომ მისი წლებისწინანდელი გადაწყვეტილება სწორი იყო.

ფსიქოლოგი ყვება, რომ ის მერე არ გამოჩენილა, სამაგიეროდ, გამოჩნდნენ ახალი სახეები, რომელთაც მან ურჩია ცენტრში მისვლა.

ცენტრის მობილიზატორებს დინა გეორგაძეს და ვერონიკა ქობალიას შეკითხვაზე თითქმის ერთნაირი პასუხი აქვთ: „სენაკში არ არის ბევრი არასამთავრობო ორგანიზაცია, მით უმეტეს, ქალთა საკითხებს არავინ განიხილავს. ამიტომ ინტერესიც მაღალია. ყველა შეხვედრაზე იკრიბებიან სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები, რომლებიც საინტერესო აუდიტორიას ქმნიან“.

ცენტრს ჰყავს ქალთა ძირითადი ბირთვი, რომელიც თითქმის ყველა შეხვედრას ესწრება. ისინი ცენტრის აქტივისტები არიან. გარდა ამისა, ყოველთვიურად ახალი ადამიანები ემატებათ.

ნანული სამსონია ერთ-ერთი აქტივისტია. მიაჩნია, რომ ცენტრთან თანამშრომლობამ მნიშვნელოვნად შეცვალა. აქტიური ყოველთვის იყო, მაგრამ საკუთარ თავს სხვა კუთხით შეხედა, თვითშეფასება აიმაღლა, სხვა ინტერესები

გაუჩნდა. ყველა შეხვედრიდან მიაქვს ახალი ინფორმაცია და თავის კოლექტიურ ცენტრში - მენჯში ავრცელებს. მიაჩნია, რომ დევნილი ქალებისთვის ეს განსაკუთრებით საჭიროა. ადვოკატირების შედეგად მენჯში დასუფთავების პრობლემა მოაგვარეს, ახალი სანაგვე ურნებიც გამოიყო. წყლის პრობლემაც გადაწყდა, რაც წლების განმავლობაში მოუგვარებელი იყო..

ყველაზე დიდი მიღწევა, რომელიც ცენტრის საქმიანობაში იკვეთება

ცენტრის მობილიზატორები აცხადებენ, რომ სოციალურ პრობლემათა ადვოკატირების მაგალითები, რომლებიც პრაქტიკაში საკმაოდ დაგროვდა, მათთვის ყველაზე დიდი მონაპოვარია.

დახმარებისთვის ხშირად მიმართავენ, ითხოვენ კონსულტაციებს იურისტისგან, ფსიქოლოგისგან. მოდიან ქალები - დევნილები, ადგილობრივები, სოციალურად დაუცველები, იშვიათად, მაგრამ მამაკაცებიც ითხოვენ დახმარებას.

ხშირად მოდიან მარტოხელა მოხუცები. ისეთები, რომლებმაც არ იციან, განცხადება როგორ დაწერონ, არც ის შეუძლიათ, განცხადებით ერთი ადგილიდან მეორეში იარონ.

„ჩვენ მათთან ერთად ვწერთ განცხადებას, შემდეგ ვაგზავნით, ველოდებით პასუხს, ერთად ვაკითხავთ სხვადასხვა სამსახურს და საქმე ბოლომდე მიგვყავს, რა თქმა უნდა, რამდენადაც ეს შესაძლებელია. ასე დაგროვდა სტატისტიკა, სადაც მოგვარებული საკითხების პარალელურად ბოლომდე მოუგვარებელი პრობლემებიც კარგად გამოჩნდა," - ამბობს დინა გეორგაძე და კონკრეტულ მაგალითებს იხსენებს:

„ერთ-ერთ ქალბატონს სახლის სახურავი სჭირდებოდა. ამ საკითხის ადვოკატირება დადებითად გადაწყდა. გამგეობამ სახურავი გადასცა, მაგრამ ვერ მოიხმარა, რადგან ფული არა აქვს, ხელოსნებს გადახურვაში რომ გადაუხადოს. მსგავსი წინააღმდეგობა ბევრია, ისევ ვფიქრობთ ამ საკითხზე, იქნებ მომავალი წლის ბიუჯეტიდან ერთჯერადი დახმარება მიიღოს, რომ პრობლემა მოაგვაროს."

„ერთ-ერთ ბენეფიციარს გარდაეცვალა მეუღლე. ოჯახი სოციალურად დაუცველია. მობილიზატორებმა მიაწოდეს ინფორმაცია, რომ გამგეობას გააჩნია ერთჯერადი დახმარების პროგრამები. ქალბატონმა განცხადებით მიმართა გამგეობას - მალევე ოჯახს გამგეობიდან 200 ლარი გადაერიცხა. რომ არა ცენტრის მობილიზატორი, ის ვერ გაიგებდა ინფორმაციას ამ დახმარების შესახებ."

მობილიზატორები ამბობენ, რომ სენაკში აქტიური, ძლიერი ახალგაზრდები ჰყავთ. რამდენიმე სკოლა მოიცვეს და ამ რიცხვის გაზრდას აპირებენ. ისინი, ვინც ხშირად ესწრება ახალგაზრდული კლუბის საინფორმაციო შეხვედრებს, სხვებისგან გამოირჩევიან აზროვნებით, მსჯელობით.

ახალგაზრდული კლუბის ასისტენტი ნინო ჭაბუკიანი ამბობს, რომ კლუბის წევრები მიღებულ გამოცდილებას ყველგან იყენებენ. კლუბის ერთ-ერთი აქტიური წევრი რუსიკო ინალიშვილი სენაკის ახალგაზრდული საკრებულოს თავმჯდომარედ აირჩიეს. ამავე საკრებულოში მოხვდა კლუბის 5 აქტივისტი. ახალგაზრდები საკუთარი ინიციატივით სკოლებში ატარებენ დისკუსიებს სხვადასხვა თემაზე: ოჯახური კონფლიქტების მართვა, ძალადობის პრევენციული მექანიზმები. კლუბის წევრები გასულ ზაფხულს სხვადასხვა ახალგაზრდულ ბანაკში მოხვდნენ და მიღებული გამოცდილება წარმატებით გამოიყენეს.

ახალგაზრდული კლუბის შეხვედრა

პრობლემები, რომლებიც დღემდე არსებობს...

არის პრობლემები, რომელთა შესახებაც ღიად საუბრობენ. მობილიზატორების თქმით, დღემდე მთავარ სირთულეს ხალხის მობილიზება წარმოადგენს. საზოგადოებაში არსებობს დამოკიდებულება, რომ არასამთავრობოებისგან მხოლოდ ჰუმანიტარული დახმარება მიიღონ, ან უფრო ხშირად ჰგონიათ, რომ მათ არანაირი ინფორმაცია და კონსულტაცია არ სჭირდებათ. ამას ემატება სოციალური ფონი. ზოგიერთებს უნდათ მოსვლა, მაგრამ ტრანსპორტის ფული არ გააჩნიათ. ხშირად მობილიზატორებსაც არა აქვთ საჭირო თანხა, რომ ტრანსპორტით იმგზავრონ სხვადასხვა ადგილას, ახალი ადამიანები გაიცნონ, დააინტერესონ.

დინა ამბობს, რომ ადამიანებს მეტი მოტივაცია სჭირდებათ და ოცნებობს იმაზე, რომ ცენტრს ექნება ისეთი პროგრამები, რომლებიც ბევრ ქალს აქ სტუმრობის სტიმულს აუმაღლებს.

როცა ძალადობის წინააღმდეგ მიმართული კამპანიის დროს სხვადასხვა ატრიბუტი დაურიგეს მონაწილეებს, აღმოჩნდა, რომ ბევრისთვის კალენდარი და ერთი ბლოკნოტიც კი მოტივაციაა. თუმცა მსგავსი რამეები აღარ უკვირთ.

ამ მიზეზების მიუხედავად, სენაკის ქალთა მხარდაჭერის ცენტრი ერთ-ერთი აქტიური და ხალხმრავალია. ახალი ბენეფიციარების მოზიდვას ხელი შეუწყო სოფლებში გასვლამ. ბათარია, ნოსირი, ხორში - ეს სოფლები სამობილიზაციო შეხვედრებში წელს პირველად გაჩნდა. ამ ადგილებში ხალხის მობილიზება პრობლემა არ არის. მათთვის ეს ახალია და სიამოვნებით მოდიან, ინტერესით ისმენენ ინფორმაციებს და თვითონაც ერთვებიან დისკუსიებში.

მარტივი? ამ კითხვაზე პასუხი მობილიზატორებს უჭირთ... მარტივი არაფერია... ან უბრალოდ, ცალკეული საქმიანობების შემდეგ შესაძლოა რაღაცები გამარტივდა.

დინა გეორგაძე მუნიციპალიტეტის გამგეობაში მუშაობს, ამავე დროს გენდერული საკონსულტაციო საბჭოს წევრიც არის. ეს კონტაქტები საშუალებას აძლევს, შეხვედრებზე საინტერესო აუდიტორია შეკრიბოს, თანამშრომლობამ ადგილობრივ ხელისუფლებასთან ადვოკატირების საკითხი უფრო გაამარტივა. ადგილობრივ პროგრამებს კარგად იცნობს, ესწრება საკრებულოს სხდომებს და ინფორმაციებს იმ ადამიანებს აწვდის, ვისაც მსგავსი დახმარება სჭირდება. კონკრეტული მაგალითების გახსენება არ უჭირს:

„ჩემთან ერთი ქალბატონი მოვიდა, სულ სხვა საქმეზე. მეოთხე შვილი შეეძინა. ვეუბნები, თქვენ მრავალშვილიანი დედა ხართ, გამგეობიდან დახმარება გეკუთვნით. ყველა დოკუმენტი მოვაგროვეთ, რაც საჭირო იყო. ერთჯერადად 200 ლარი მიიღო. ყოველთვიური დახმარება კი 150 ლარი დაენიშნა. ყოველთვიურად შეხვედრები გვაქვს სოციალურ სამსახურებთან, ყველა ინფორმაცია ვიცით, რა ტიპის დახმარებაა ოთხ და მომდევნო შვილზე. რა თქმა უნდა, კმაყოფილი დარჩა. ჩვენც კმაყოფილები ვართ, ასეთი ინფორმაციები სწრაფად ვრცელდება, ჩვენს იმიჯზე მოქმედებს და საქმესაც გვიმარტივებს.“

ცვლილებები, რომლებიც სახეზეა...

პრობლემას რა გამოლევს, უკმაყოფილო ხალხიც არსებობს, არასდროს გვაქვს იმის ამბიცია, რომ საოცრებებს ვაკეთებთ. მოგვისმენია საყვედურებიც: ყველანი თქვენს საქმეს იკეთებთ, ჩვენ რა ამით; მეორე დღეს ეს ადამიანები დახმარებისთვის მოსულან.

ცვლილება ყველაფერს ეტყობა. პირველ რიგში, იმ ქალებს, ვინც ამ ცენტრში დადის. აქ ყველაფერი ერთად არის თავმოყრილი. შეგიძლია იურისტის კონსულტაცია მიიღო, მოუსმინო ფსიქოლოგს. მიიღო რჩევები. სენაკში მსგავსი უფასო სერვისები არ არის. მომართვიანობა იზრდება, ეს იმას ნიშნავს, რომ ქალები შეიცვალნენ.

ყველაზე დიდ მიღწევად ძალადობის პრობლემის აღიარებას და მსხვერპლთან მუშაობის გამოცდილებას მიიჩნევენ. ვერონიკა ამბობს, რომ ბოლო წელი ამ მიმართულებით ძალიან აქტიური იყო. ქალები არა მხოლოდ აღიარებენ პრობლემას, ყველაფერს აკეთებენ საიმისოდ, რომ არ იყვნენ დისკრიმინირებულნი - ახალ წესრიგს ამყარებენ საკუთარ ოჯახებში.

წელს პირველად სენაკის ბიუჯეტში ახალი პუნქტი გაჩნდა: ერთჯერადი დახმარებები ძალადობის მსხვერპლთათვის. ამ ცვლილებაში ქალთა ცენტრის გავლენაც არის.

სოციალური მომსახურების სააგენტო ძალადობის მსხვერპლ ქალებს ცენტრის ფსიქოლოგთან ამისამართებს.

თანამშრომლობა ადგილობრივ ხელისუფლებასთან სხვა ეტაპზე გადავიდა. გაჩნდა ერთობლივი ღონისძიებები: 25 ნოემბერს, ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ აქციაზე ქალთა მხარდაჭერის ცენტრის აქტივისტებთან ერთად ხელისუფლების წარმომადგენლებიც აქტიურად გამოჩნდნენ. პირიქითაც ხდება - გამგეობის მიერ დაგეგმილ აქტივობებში ცენტრის აქტივისტებიც იღებენ მონაწილეობას.

გაჩნდა პრობლემების ერთობლივად მოგვარების პრაქტიკა: ცენტრის მობილიზატორები ქალების მიერ დასმულ პრობლემებს გენდერული საკონსულტაციო საბჭოს შეხვედრებზე ახმოვანებენ. პრობლემების მოგვარებაში კონკრეტული სამსახურები ერთვებიან და პოზიტიური შედეგებიც ჩნდება.

ხათუნა გოგუა

„თუ არ იბრძოლე, შენთან ერთად შენს შვილებსაც დაუნგრევენ მომავალს“

ის ძალადობის მსხვერპლია, მაგრამ ახლა ორ შვილთან ერთად მშვიდ გარემოში იმყოფება. მისი ცხოვრება ფონდი „სოხუმის“ დახმარებით შეიცვალა. თუმცა ამისთვის თავადაც იბრძოლა...

ი. ც. 25 წლისაა (ინიციალები პირობითია). 6 წლის წინ სიყვარულით გათხოვდა და, რაც არ უნდა გასაოცარი იყოს, ოჯახური პრობლემები შვილის გაჩენის შემდეგ დაეწყო.

ახალგაზრდა ქალის ტრაგედიის შესახებ ფონდი „სოხუმის“ ფსიქოლოგი მანანა გოცირიძე გვესაუბრა. მისი თქმით, ამ საქმეში ყველაზე რთული ის იყო, რომ მსხვერპლის ოჯახმა თანაგრძნობა არ გამოავლინა მის მიმართ.

„ჩემთან რომ მოვიდა, იყო ძალიან განერვიულებული, თუმცა, ამბობდა, რომ იმ დროისთვის მისი მდგომარეობა შედარებით კარგი იყო, ვიდრე ადრე, თუნდაც მაშინ, როდესაც ძალადობის გამო თავის მოკვლა სცადა. უნდოდა თავი მოეკლა, მაგრამ შვილების ხმამ გამოაფხიზლა და მიხვდა, რომ მათ ვერავის დაუტოვებდა. ამიტომ არსებული სიტუაციის გამოსწორება სხვაგვარად სცადა. შვილებთან ერთად დედ–მამასთან დაბრუნდა, თუმცა იქ ქმრის ოჯახზე რთული მდგომარეობა დახვდა. დედამ მოსთხოვა, ქმრის ოჯახში დაბრუნებულიყო, იმ მიზეზით, რომ ძალადობას ქალთა უმეტესობა ითმენს და მასაც უნდა მოეთმინა.

მისივე თქმით, უმეტესწილად, ძალადობის მსხვერპლები გაურბიან საუბარს, ცდილობენ, არავის უთხრან თავიანთი პრობლემის შესახებ, რის გამოც მათთან ერთად მათი შვილებიც ზარალდებიან. ძალადობის მსხვერპლი ბავშვები კი ხშირად თავად ხდებიან მოძალადეები.

ი.ც.–ს პრობლემა შვილის გაჩენის შემდეგ დაეწყო, როდესაც ქმარმა მასზე ძალადობა დაიწყო. ეუბნებოდა, რომ მისი საკუთრება იყო და როგორადაც უნდოდა, ისე მოექცეოდა. მდგომარეობა იქამდე მივიდა, რომ ცოლს ქმრის მიმართ სიძულვილის განცდა გაუჩნდა და მისგან თავის დაღწევას ცდილობდა. ერთხელ დედასთან ყოფნისას, მეუღლე მოვიდა, ის კი მეგობართან წავიდა. დედამ დაუწყო ძებნა და საქმეში პატრული ჩართეს. პატრულმა კი, დახმარების ნაცვლად, ახალგაზრდა ქალს ჭკუის სწავლება დაუწყო - უთხრა, რომ ცოლ–ქმარს შორის ყველაფერი ხდება და ამის გამო პრობლემის შექმნა არასწორია.

25 წლის ქალი ახლობლის დახმარებით სოციალურ სამსახურს დაუკავშირდა და თავისი მდგომარეობის შესახებ აცნობა. ფონდი „სოხუმის“ ქალთა მხარდაჭერის ცენტრები აქტიურად თანამშრომლობენ სოციალურ სამსახურებთან და, რადგან მათ ფსიქოლოგი არა ჰყავთ, ქალებს ქალთა მხარდაჭერის ცენტრებში აგზავნიან.

ასე მოხვდა ი. ც. ფონდის ფსიქოლოგთან, შემდეგ კი - იურისტთან.

ფონდი „სოხუმის“ იურისტი თამარ გოგოხია იხსენებს იმ პროცედურას, რაც ი.ც.–სთვის მსხვერპლის სტატუსის მისანიჭებლად ერთობლივად გაიარეს. მისი თქმით, ყველაზე რთული - სტატუსის მიმნიჭებელი კომისიის დარწმუნება გახდა, რომ მათი კლიენტი ნამდვილად მსხვერპლი იყო და რომ მას თავშესაფრის გარდა სხვაგან წასასვლელი არ ჰქონდა:

„აზუსტებდნენ, იქნებ ქმარს შეურიგდესო, მაგრამ მას არა აქვს არსად წასასვლელი. ქუჩაში მოუწევდა ორ შვილთან ერთად ცხოვრება. სამწუხაროდ, სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს ყველა მსხვერპლის დაცვას და ამიტომ ჭირს მათთვის სტატუსის მინიჭება, რის გამოც ბევრ ადამიანს ყოველდღიურ ძალადობასთან ვტოვებთ მარტოს. მათ მიმართ ოჯახიც კი არაა თანაგრძნობით გამსჭვალული. კარგი იქნება, თუ მეტი პროგრამა ამოქმედდება მათ დასაცავად. მათ უნდა იგრძნონ, რომ მარტონი არ არიან და რომ ამის გამო ძალადობის შემთხვევები

არ უნდა დამალონ," – განაცხადა იურისტმა თამარ გოგოხიამ.

ფონდი „სოხუმის" დახმარებით ი.ც. დღეს ორ შვილთან ერთად თავშესაფარში ცხოვრობს. მასზე და მის შვილებზე ფსიქოლოგები ზრუნავენ. ასევე მიმდინარეობს მისი ჩართვა სხვადასხვა პროექტში, რომ თავშესაფრის შემდეგ დამოუკიდებლად შეძლოს ცხოვრების გაგრძელება. არსებული თავშესაფრები მსხვერპლთა დახმარებას მხოლოდ რაღაც პერიოდით ახერხებენ, ამის შემდეგ კი მათ მარტოს უწევთ პრობლემებთან გამკლავება და ხშირად ახალი ძალადობის მსხვერპლები ხდებიან, თუმცა 25 წლის ქალი არ აპირებს უკანდახევას. ამბობს, რომ ოჯახზე მეტად საზოგადოების თანადგომის იმედი აქვს, რომ შვილებისათვის ბოლომდე იბრძოლებს და სხვა ქალებსაც მისცემს გამბედაობის მაგალითს.

ნესტან ჩაგელიშვილი
„ახალი გაზეთის" ჟურნალისტი -
სპეციალურად „ქალთა ხმისთვის"

ნინოს მიზნები - უკეთესი მსოფლიოსათვის

ახალგაზრდულ კლუბებში ბევრი აქტიური გოგონა და ბიჭია. ყოველ მათგანზე შეიძლება გიამბოთ, მაგრამ ამჯერად ნინო წვერავა ავირჩიეთ, ხონის ახალგაზრდული კლუბი წევრი.

ნინო მეთორმეტე კლასის მოსწავლეა, თუმცა თანატოლებში უკვე გამოირჩევა. სკოლაში დადის, წარმატებული მოსწავლე და აქტიური აბიტურიენტია. ამასთან ერთად ცდილობს, დამატებით პროგრამებში ჩაებას. სწორედ ამიტომ მოხვდა ფონდ სოხუმში" და იპოვა ის, რამაც კიდევ უფრო მეტი ინტერესი შესძინა მის ცხოვრებას.

ნინო წვერავა ერთი შეხედვით მშვიდი ჩანს, თუმცა მისგან წამოსული მუხტი ყველასათვის გადამდებია. 17 წლისაა, სწავლობს მესამე საჯარო სკოლაში და უკვე კარგად იცის, რას აპირებს. პროფესიაც შერჩეული აქვს და ამბობს, რომ ახლობლების დაჟინებული თხოვნის მიუხედავად, არჩევანს არ შეცვლის.

„ჟურნალისტობა მინდა, სხვაგან ჩემი თავი ვერ წარმომიდგენია. ახლობლები და ოჯახის წევრები მეუბნებიან, რომ რთული პროფესიაა და სათანადოდ დაფასებულიც არ არის და არჩევანი შევცვალო, თუმცა არ ვაპირებ. ვამბობ, რომ ან გავხდები ჟურნალისტი, ან საერთოდ არ გავაგრძელებ სწავლას. ეს არის პროფესია, სადაც ვიცი, რომ თავს ბედნიერად ვიგრძნობ, მომწონს მოვლენების ეპიცენტრში ყოფნა", – განაცხადა ნინომ.

სწორედ თავისი აქტიურობის გამო მოხვდა ფონდ „სოხუმში" და კიდევ უფრო აქტიური, თავდაჯერებული, უფრო ძლიერი გახდა...

თავიდან იმ საინტერესო ღონისძიებებს ესწრებოდა, რომელთაც ფონდი „სოხუმი" მის სკოლაში ატარებდა. მერე, როგორც იხსენებს, სკოლაში ორგანიზაციის წარმომადგენელი მივიდა და ერთ-ერთ ტრენინგზე დასასწრებად შესარჩევი კონკურსი გამოაცხადა. ნინომ კონკურსი წარმატებით გაიარა.

ტრენინგზე მიხვდა, რომ საკითხები, რომლებსაც ფონდი ეხება, მისთვისაც აქტუალურია და ძალიან დაინტერესდა. საინტერესო აღმოჩნდა იმდენად, რომ მხოლოდ ტრენინგმა არ დააკმაყოფილა და გადაწყვიტა, უფრო მეტი ეკეთებინა თანატოლებთან ერთად.

ასე გახდა ხონის ახალგაზრდული კლუბის წევრი. ფონდ „სოხუმს" კიდევ ხუთი ასეთი კლუბი აქვს - ქუთაისში, წყალტუბოში, ფოთში, სენაკში

ნინოს მიზანი - უკეთესი მსოფლიოსათვის

და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კოკში. კლუბები თვეში ერთხელ იკრიბებიან. უამრავ საინტერესო საკითხს იხილავენ ახალგაზრდები - თანასწორობა, ძალადობა, ტოლერანტობა, ტრადიციები და მენტალიტეტი, ეთიკა და ესთეტიკა... სწავლობენ სწორ კომუნიკაციას, კონფლიქტების მართვას, თანატოლებთან და უფროსებთან ურთიერთობას... მსჯელობენ რთული სიტუაციებიდან გამოსავალზე, ეძებენ პრობლემების მოგვარების გზებს...

ყველაზე მთავარი, რაც ნინოს განსაკუთრებულად მოსწონს, ის არის, რომ კლუბის უჩვეულო „გაკვეთილების" შედეგად ბევრი რამ იცვლება გოგონებსა და ბიჭებში, თითქოს უფრო გაიზარდნენ, ბევრ რამეს სხვანაირად შეხედეს, ბევრი სტერეოტიპი დაამსხვრიეს, ერთმანეთისაც არ ერიდებათ ძველებურად, გულახდილად საუბრობენ, ერთმანეთის აზრების პატივისცემა ისწავლეს.. მერე კი კლუბზე მიღებული ცოდნა სკოლაში „მიაქვთ" და თანატოლებს უზიარებენ...

„პირველივე შეხვედრებიდან მივხვდი, რომ შევძლებდი სხვების დახმარებას, თუ მეტი მეცოდინებოდა, - ამბობს ნინო. - ამიტომ აქტიურად დავიწყე თანამშრომლობა. ვცდილობ კლუბის შეხვედრების გამოცდილებით იმ ადამიანებს დავეხმარო, რომლებიც ძალადობის მსხვერპლნი არიან, ან სხვა პრობლემები აქვთ... ვაცნობ მათ ინფორმაციას თავიანთი უფლებების შესახებ. ამ ეტაპზე, შეიძლება, ჩემი გამოცდილება არ არის სათანადო, მაგრამ ნელ-ნელა გამოცდილებაც მემატება".

ამასთან ამბობს, რომ ხონში ახალგაზრდებისთვის შემეცნებითი და გასართობი აქტივობები ნაკლებად, უფრო სწორად - საერთოდ არ ხდება. არ მოსწონს თანატოლების პასიურობა და ცდილობს, ისინი სხვადასხვა აქტივობაში ჩართოს. სურს ხონში გაცილებით მდიდარი ბიბლიოთეკა იყოს, იმართებოდეს კულტურული ღონისძიებები. მომავალში გეგმავს, თავისი გამოცდილება მისსავე კუთხეს მოახმაროს და მსგავსად სხვა ახალგაზრდებისა, სამუდამოდ არ მიატოვოს ქალაქი.

„სამწუხაროდ, ხონში ახალგაზრდები აქტიურობით არ გამოირჩევიან. ყველას ფარ-ხმალი აქვს დაყრილი და ცდილობენ, აქედან წავიდნენ, რომ რამეს მიაღწიონ. მე ვფიქრობ, ეს არაა სწორი. არ შეიძლება ყველამ მიატოვოს ქალაქი, სოფელი, რაღაც დოზით მაინც უნდა დავეხმაროთ მას განვითარებაში. ამიტომ ვცდილობ ჩემი ცოდნით გამოვადგე ჩემს ქალაქს, აქ მცხოვრებლებს. საზოგადოებას არ აქვს ინფორმაცია სამოქალაქო უფლებებზე, ადამიანებმა არ იციან, როგორ დაიცვან თავიანთი უფლებები. საჭიროა მეტი ინფორმირებულობა. საზოგადოება მეტნაკლებად მზადაა ამ ინფორმაციებისათვის, თუკი მათ დავეხმარებით. ფონდი „სოხუმი" ამ მხრივ ბევრ რამეს აკეთებს. ეხმარებიან დევნილებს, ძალადობის მსხვერპლ ქალებს, ახალგაზრდებს. კარგი იქნება, თუ ჩვენთან ბევრი პროექტი განხორციელდება, რომ მივიღოთ განათლებული საზოგადოება", – განაცხადა ნინო წვერავამ.

ნინო წერს თავისუფალ დროს და მაშინ, როდესაც რაიმეს თქმა სურს. ერთხელ დაწერა წერილი, სადაც დევნილი აფხაზი გოგოს სახელით აფხაზეთის მთავრობას მიმართა და მეგობრობისკენ მოუწოდა.

„ჩვენ არაფერი გვაქვს გასაყოფი, ჩვენ ერთი ქვეყნის შვილები ვართ, ერთ მიწაზე და ერთი ცის ქვეშ ვცხოვრობთ". მისმა ნაწერმა მსმენელთა აღელვება გამოიწვია, რადგან ეს ქართველებისათვის ყველაზე მძიმე თემაა.

ნინო, როგორც აქტიური მოსწავლე, ხონის ახალგაზრდულ საკრებულოში აირჩიეს. თავმჯდომარე კი მისი მეგობარი მარიამ კინწურაშვილია. ისიც 17 წლისაა და ისიც მესამე საჯარო სკოლაში სწავლობს. ფონდ „სოხუმში" ტრენინგზე, ისიც კონკურსის გზით მოხვდა და მას შემდეგ თანამშრომლობს, არის ახალგაზრდული კლუბის ერთ-ერთი გამორჩეული წევრი. პროფესია მარიამსაც შერჩეული აქვს, საერთაშორისო ურთიერთობები.

როგორც ნინო წვერავა ამბობს, ახალგაზრდული საკრებულო კარგია, თუმცა მას მხოლოდ ფორმალური ხასიათი აქვს. საქმის გასაკეთებლად საჭიროა ფინანსები, რომ ახალგაზრდებისთვის პროექტები შემუშავდეს და განხორციელდეს.

დამშვიდობებისას ნინომ ერთი სურვილი გაგვიმხილა - სურს სომალიში წავიდეს სამშვიდობო მისიით:

„სომალი არის ადგილი, სადაც ქალები და ბავშვები გაუსაძლის მდგომარეობაში არიან. თითქოს ცდილობენ მათი მდგომარეობის გაუმჯობესებას, მაგრამ რეალურად არაფერი კეთდება. მინდა ჩავიდე იქ და ჩემი წვლილი შევიტანო, რომ დავეხმარო მათ. არსად, დედამიწის არც ერთ კუთხეში ქალები და, მით უმეტეს, ბავშვები, არ უნდა იტანჯებოდნენ, მათ უნდა ჰქონდეთ ყველა ის პირობა, რაც განვითარებული ქვეყნის შვილებს და მსოფლიომ უნდა გააქტიუროს ამაზე ზრუნვა", – განაცხადა 17 წლის ნინო წვერავამ.

ნესტან ჩაგელიშვილი
„ახალი გაზეთის" ჟურნალისტი - სპეციალურად „ქალთა ხმისთვის"

ᲐᲓᲠᲔᲣᲚᲘ ᲓᲐᲠᲦᲕᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲘᲛᲝᲜᲔᲑᲖᲔ ᲥᲐᲚᲓᲝᲑᲐᲐ!
ᲕᲔᲠᲐᲠᲔᲚᲘ ᲫᲐᲚᲝᲑᲐ!!!

25.11 2015

ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ - ᲫᲐᲚᲘᲡ ᲛᲘᲐᲜᲘ ᲫᲐᲚᲓᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ!
TOGETHER - AGAINST VIOLENCE AGAINST WOME

STOP

ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ - ᲫᲐᲚᲘᲡ ᲛᲘᲐᲜᲘ ᲫᲐᲚᲓᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ!
TOGETHER - AGAINST VIOLENCE AGAINST WOMEN!

ფოთი

ზუგდიდი

ხონი

სენაკი

25.11 2015

წყალტუბო